პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

24 ივნისი ხუთშაბათი 1971 წელი 2 კაპ.

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 143 (15053)

მასების წინამძღოლი

მთელმა პარტიამ, ყველა პარტიულმა ორგანიზაციამ თავიდან ბოლომდე და მშრომელთა კოლექტივებმა მოიწონეს ყრილობის გადაწყვეტილებანი. ცენტრალური კომიტეტი დიდად აფასებს ამ საყოველთაო-სახალხო მოწონებას და განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს პარტიული ორგანიზაციების, კომუნისტების, უპარტიოების კონკრეტულ, საქმიან მიდგომას ყრილობის მითითებათა განხორციელებისადმი...

ლ. ბრეჟნევი.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომაზე 1971 წლის 14 მაისს წარმოთქმული სიტყვიდან.

დღეს მილიონობით საბჭოთა ადამიანის შრომაში კრისტალდება, ხორცს ისხამს სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებები. სამრეწველო საწარმოებში თუ საკოლმეურნეო მინდვრებზე, სამშენებლო მოედნებზე თუ სამეცნიერო დაწესებულებებში ჩქეფს შემართება, ძიება პარტიის მიერ დასახულ გრანდიოზული ამოცანების გადაწყვეტად.

მშრომელთა შემოქმედებით აქტივიზაციას ძალას მატებს ლენინის პარტიის ნოვატორული საქმიანობა, მისი გაბედული მისწრაფებები მომავლისაკენ, უდიდესი პოლიტიკური, იდეოლოგიური და ორგანიზატორული მუშაობა.

ზოგადი კერძოთი იქმნება. ჩვენი ქვეყნის თვითეული კოლექტივისათვის პარტია — ეს არის თავისი პირველადი პარტიული ორგანიზაცია, შემდგარი მოწინავე ამხანაგებისაგან, რომლებიც იმავე საქმეს ასრულებენ, რასაც ყველანი, მუშაობენ იქვე, გვერდით, მაგრამ უფრო მეტი პასუხისმგებლობა აკისრიათ საერთო საქმისათვის. ისინი არიან პარტიის წარმომადგენლები. თვითეული მათგანის მისდამი მსჯელობენ პარტიის შესახებ. აი რატომ ამბობდა ლენინი, რომ „შრომითი დისციპლინისა და ენერგიის მხრივ პარტიის წევრები ყველაზე წინ უნდა მიდიოდნენ“.

და სწორედ ახლა, როცა პრაქტიკულად წყდება სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების ამოცანები, ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობაზე. უკანასკნელ წლებში ცოტა როდი გაკეთდა პარტიის ძირითადი რგოლების ორგანიზაციული განმტკიცებისა და კოლექტივებში მათი წამყვანი როლის ამაღლებისათვის. საწარმოო პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად ადმინისტრაციის საქმიანობის კონტროლის უფლება მიენიჭათ სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების, სასწავლებლების, კულტურულ-საგანმანათლებლო და სამკურნალო დაწესებულებების პარტიულ ორგანიზაციებს. ცხადია, ყოველივე ეს ახლა თავის დადებით შედეგებს იძლევა.

„ძირეული უბრალოდ, — ამბობდა ვ. ი. ლენინი, — უნდა მოქმედებდეს განსაკუთრებით ცოცხლად, ხშირად, რეგულარულად“. და თუ ამ თვალსაზრისით გადავხედავთ საქართველოს პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობას, ადვილებს ბევრი რამ გვაქვს კარგი და სამაგალითო. მაგალითისათვის ავიღოთ ქ. რუსთავის ამწეშენებელი ქარხნის პირველადი პარტიული ორგანიზაცია. აქ კომუნისტებმა გულდასმით განიხილეს, მოიწონეს და მოქმედების სახელმძღვანელოდ გაიხადეს სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებანი. ამ ორგანიზაციის მაჯისცემაში ნათლად იგრძნობა დროის რიტმი. მათი საქმიანობის გამოცდილება დამაჯერებლად ადასტურებს ჭეშმარიტებას: რაც უფრო აქტიურად, ერთსულოვნად, მიზანდასახულად მუშაობენ კომუნისტები, მით უფრო წარმატებით მიდის საქმე საწარმოში თუ მეურნეობაზე, კოლეგიურობასა თუ დაწესებულებაში. ცხადია, ასეთი მოწინავე პირველადი პარტიული ორგანიზაციები რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში ერთეულები როდია.

კომუნისტმისათვის ბრძოლის მთავარი მიმართულება იყო და არის ეკონომიკა. ზრუნვა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის — აი რა არის დღეს მთავარი მუურნეობის პარტიულ ხელმძღვანელობაში, უწინარეს ყოვლისა რას უნდა მოხმარდეს პარტიული ორგანიზაციების მეცადინეობა. მეცხრე ხუთწლედის ამოცანები მოითხოვენ შეუპოვარ შემოქმედებითს ძიებას, მშრომელთა მასობრივ ინიციატივის განვითარებას. და ამ საქმეში გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნით კომუნისტებს, პირველად პარტიულ ორგანიზაციებს.

სკკპ XXIV ყრილობამ ქართველ კომუნისტებს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომ განვითარებასთან ერთად ამოცანად დაუსახა სწრაფად დაძლიონ ჩამორჩენა და სრულად გამოიყენონ მეცხოველეობის განვითარების შესაძლებლობანი. ეს კი სერიოზული პასუხისმგებლობის წინაშე აყენებს მეცხოველეობაში მომუშავე კომუნისტებს. მეცხოველეობის ახლანდელი მდგომარეობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მისი ყველაზე სუსტი რგოლი ბოლო ორ კვირეულ ბაზაზე. მართალია, უკანასკნელი წლების მანძილზე საკვების წარმოება რამდენადმე გაიზარდა, მაგრამ ზრდის ტემპი უფრო დაბალია, ვიდრე მეცხოველეობის მოთხოვნილებანი. ამ დღეებში საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილეს საკითხი კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საკვების წარმოებისა და დაგროვების მიმდინარეობის შესახებ. მიღებულ დადგენილებაში უურადღებაა გამახვილებული პირუტყვისათვის საკვების წარმოებისა და დაგროვების დავალებათა შესრულებაში არსებულ ნაკლოვანებებზე, დასახულია ღონისძიებანი მათ დასაძლევად.

საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი განვითარება, დასახული გეგმების შესრულება, ნაკლოვანებათა ლიკვიდაცია დამოკიდებულია ადამიანებზე, საქმისადმი მათს შეგნებულ დამოკიდებულებაზე. პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოებმა, მეურნეობათა ხელმძღვანელებმა მაქსიმალურად უნდა იზრუნონ ადგილებზე ამისათვის, რომ მეცხოველეობის მუშაკებს შეუქმნან მაღალნაყოფიერი შრომის შემოქმედებისა და ინიციატივის ყველა პირობა. სწორედ ახლა, ზაფხულის პერიოდში განსაკუთრებით საჭიროა მეცხოველეთა აქტივობა, უნდა დავრაზმოთ ისინი ხელსაყრელი სახაძოვრო პერიოდის ეფექტიანად გამოყენებისათვის, უხვად დავაგროვოთ პირუტყვისათვის უუთანანი საკვები. ცხადია, როგორც ყოველ საქმეში, აქაც თავიანთი ავანგარდული როლი უნდა გვაჩვენონ კომუნისტებმა.

მრავალმხრივია პირველადი პარტიული ორგანიზაციის საქმიანობა. მაგრამ მდიდარი, საინტერესო და მრავალფეროვანია მის ხელთ არსებულ საშუალებათა არსენალიც. **პირველადი პარტიული ორგანიზაციის ბრძოლისუნარიანობის ხარისხს განსაზღვრავს კომუნისტთა იდეური შეგნებულობა** და რაც უფრო მაღალია მათი შეგნებულობა, მით უფრო მეტია წარმატება კოლექტივის ცხოვრების დიდი თუ მცირე საკითხების გადაწყვეტაში. ამიტომ პირველადი პარტიული ორგანიზაცია სისტემატურად უნდა ზრუნავდეს თავისი წევრების იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის.

სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა კვლავაც უნდა სრულყონ თავიანთი საქმიანობის ფორმები და მეთოდები. ამას კი ხელს შეუწყობს ყველა კომუნისტის ფართო მონაწილეობა კოლექტივების წინაშე დასახული ამოცანების განხილვასა და განხორციელებაში, მიღებულ გადაწყვეტილებათა კონკრეტულობა და მიზანდასახულობა, მათი შესრულების ზუსტი ორგანიზაცია, შინაპარტიული დემოკრატიის შემდგომი განვითარება და დისციპლინის განმტკიცება.

მასების ხელმძღვანელებისა და ორგანიზატორების როლი, რომელსაც ასრულებენ პირველადი პარტიული ორგანიზაციები თავიანთ კოლექტივებში, ავალებს მათ პარტიულ-ორგანიზაციულ და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაშლას ახალი ამოცანების დონეზე. ეს კი იქნება იმის თავდები, რომ პირველადი პარტიული ორგანიზაციები შეძლებენ მასების დარაზმვას სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად.

საუბარი ა. ნ. კოსიგინთან

23 ივნისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **ა. ნ. კოსიგინმა** კრემლში მიიღო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საქმიანი წრეების თვალსაჩინო წარმომადგენელთა ჯგუფი „კრუპის“ კონცერნის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის **ბ. ბაიტცის** მეთაურობით, რომელიც მოსკოვში იმყოფება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის მოწვევით.

საუბარის დამსწრე დასავლეთ გერმანიის ფირმების წარმომადგენლებმა ილაპარაკეს საბჭოთა ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრებისა და საუბრების შესახებ, რომელთა დროსაც განიხილეს საბჭოთა კავშირთან ვაჭრობისა და საქმიანი კავშირურთიერთობის გაფართოების საკითხები.

ა. ნ. კოსიგინმა ილაპარაკა სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებსა და იმ მნიშვნელობაზე, რომელიც მათ ექნებათ საბჭოთა ეკონომიკის შემდგომი ზრდისათვის. მან ჩამოაყალიბა საბჭოთა მთავრობის აზრი საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობის განვითარების შესაძლებლობებსა და პერსპექტივებზე, აგრეთვე შეეხო მთელ რიგ საკითხებს, რომლებიც ევროპის უშიშროების უზრუნველყოფისა და სრულიად ევროპის თანამშრომლობის განვითარების პრობლემებს ეხება.

მე-16 საბჭოთა ანტარქტიკული ექსპედიციის უფროსს პმს. პეტროვს, ანტარქტიკული ექსპედიციის ყველა მონაწილეს

იმასთან დაკავშირებით, რომ დღეს მე-10 წლისთავი სრულდება იმ დღიდან, რაც ძალაში შევიდა ხელშეკრულება ანტარქტიკის შესახებ, გაზეთად სალამს ვუძღვნი საბჭოთა მეცნიერებსა და სხვა ქვეყნების მეცნიერებს, რომლებიც იკვლევენ მეექვსე კონტინენტს. ხელშეკრულებამ ანტარქტიკა ფიდაქციი მშვიდობის რაიონად, სადაც სავსებით აკრძალულია სამხედრო საქმიანობა, ყოველგვარი ატომური აფეთქება და ყველა სახეობის იარაღის გამოცდა.

ხელშეკრულებამ შექმნა საფუძვლები ანტარქტიკის ყოველმხრივ შესწავლისათვის ფართო საერთაშორისო თანამშრომლობის საფუძველზე მთელი კაცობრიობის მეცნიერებისა და პროგრესის ინტერესების სასარგებლოდ. მრავალი ქვეყნის მეცნიერთა ერთობლივი ღონისძიებებით წარმატებით სრულდება გამოკვლევები. რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო სამხრეთი პოლარული ოლქის, არამედ აგრეთვე მთელი ჩვენი პლანეტის შესწავლისათვის. ანტარქტიკის კვლევაში საკრძნობი წვლილი შეიტანეს საბჭოთა მეცნიერებმა, რომლებმაც სიმამაცე, სიმტკიცე და გამძლეობა გამოიჩინეს მძიმე პირობებში.

ანტარქტიკული ექსპედიციების ყველა მონაწილეს, გუსურვებ შემდგომ წარმატებებს, ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას.

ნ. პოდგორნი,

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

მოსკოვი, კრემლი. 1971 წლის 23 ივნისი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

□

ინფორმაციის დღე

23 ივნისს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა მორიგი ინფორმაციის დღე.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ ამხ. ს. ქაჯაიამ გააკეთა ინფორმაცია რესპუბლიკის იუსტიციის ორგანოების მუშაობის ზოგიერთ საკითხზე.

რესპუბლიკაში კავშირგაბმულობის მდგომარეობისა და საშუალებათა განვითარების შესახებ ინფორმაცია გააკეთა საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრმა ამხ. კ. ქავთარაძემ. (საქდესი).

საჯდესის ცნობა

მიფრინავს „სალუტი“

ფრენის მართვის ცენტრი, 22 ივნისი. (საკდესი). 12 საათისათვის მოსკოვის დროით პილოტირებულმა ორბიტულმა სამეცნიერო სადგურმა „სალუტმა“ 245-ჯერ შემოუარა დედამიწას.

ასრულებდა რა კოსმოსური ფრენის მეთექვსმეტე ღღის პროგრამას, ორბიტული სადგურის მეთაური გიორგი დობროვოლსკი განაგრძობდა დედამიწის ატმოსფეროს ფიზიკურ თვისებათა კვლევას ხელის სპექტროგრაფის საშუალებით. ამ ექსპერიმენტის დროს კოსმონავტი ასრულებდა დედამიწის ბინდის ჰორიზონტის სპექტროფოტომეტრირებას მზის ამოსვლისა და ჩასვლის დროს. გაზომვა იწყებოდა უშუალოდ მზის ბადროს კიდის გამოჩენამდე და მთავრდებოდა ჰორიზონტიდან მისი სრული გამობვლის მომენტში. ამგვარი გაზომვები, მაგრამ საწინააღმდეგო თანმიმდევრობით, დობროვოლსკიმ განახორციელა ჰორიზონტს მიღმა მზის ჩასვლის დროსაც.

„სალუტ“ სადგურში კოსმოსური აისის სინათლის გამის კვლევა საშუალებას გვაძლევს მივიღოთ დაზუსტებული მონაცემები დედამიწის ატმოსფეროს ოპტიკურად აქტიური კომპონენტების განაწილების შესახებ, რომლებიც განსაზღვრავენ მზის სხივების განაწილებას ატმოსფეროში. გარდა ამისა, ინჟინერ-გამომცდელმა ვიქტორ პაცაევმა განვლილი დღეღამის მანძილზე მოაწყო დედამიწის ზედაპირიდან არეკლილი მზის სინათლის პოლარიზაციის კვლევის ექსპერიმენტი.

სატელევიზიო რეპორტაჟში კოსმონავტებმა ილაპარაკეს უმაღლესი მეცნიერების ზრდასა და განვითარებაზე, უწონობის ზემოქმედებასთან დაკავშირებულ ბიოლოგიურ ექსპერიმენტებზე.

სადგურის ეკიპაჟი განაგრძობდა აგრეთვე დაკვირვებას დედამიწის ზედაპირის ერუბლიანობაზე, ციალონების მოძრაობასა და სხვა მეტეოროლოგიურ მოვლენებზე, კერძოდ, კოსმონავტებმა აღმოაჩინეს და გადაიღეს ციალონი ჰავაის კუნძულების რაიონში. რამდენიმე საათის შემდეგ ციალონის განვითარება ჩანდა ავსტრალიის ნაპირების მახლობლად.

ტელევიზიული ინფორმაციის მონაცემებით, სადგურში ტემპერატურა, ატმოსფეროს წნევა და გაზის შედგენილობა დასაშვულ ფარგლებშია. კოსმონავტები თავს კარგად გრძნობენ.

კილოტირებულ ორბიტულ სამეცნიერო სადგურ „სალუტის“ ეკიპაჟის მიმართვა დიდი სამამულო ომის მონაწილეებისადმი, მსოფლიოს ყველა მოქალაქისადმი

მუშიდოგის დაცვის საგჭოთა კომიტეტს, სსრ კავშირის ომის ვეტერანთა კომიტეტს

საბჭოთა კავშირზე ფაშისტური გერმანიის ვერაგული თავდასხმის 30 წლისთავის დღეს თქვენი მშვიდობით მივმართავთ დიდი სამამულო ომის ყველა მონაწილეს, ყველა საბჭოთა ადამიანს, მსოფლიოს ყველა მოქალაქეს.

„ერთი ორ კვირაზე მეტია კოსმოსური ოკეანის სივრცეებში ვიმყოფებით და დავრწმუნდით, თუ რამდენად მშვენიერია ჩვენი პატარა თეთრ-ცისფერი პლანეტა.

ვერც კი წარმოგვიდგენია, რომ ამ პლანეტაზე შეიძლება მოხდეს ომი, რომელსაც მწუხარება მოაქვს მილიონობით ადამიანისათვის, ორბიტულ სადგურ „სალუტიდან“ მოგიწოდებთ უფრო მჭიდროდ შეაკავშიროთ მშვიდობისათვის მებრძოლთა რიგები, ერთხელ და სამუდამოდ დაგმოთ ომი.

სადგურ „სალუტის“ ეკიპაჟი: დობროვოლსკი, ვოლკოვი, პაცაევი.

ქართული კულტურის დღეების მონაწილენი ტალინში

ტალინი, 23 ივნისი. (საქდესის სპეც. კორ.). ესტონეთში საქართველოს სს რესპუბლიკის კულტურის დღეებში მონაწილეობის მისაღებად აქ ჩამოვიდა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ბოგანიშვილი. დელეგაციის შემადგენლობაში არიან — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე დ. ჩხეიძეშვილი, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი ო. ნიკაძეშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე შ. სალარიძე, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ზ. მჟავლიშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ე. ჭირსალაძე, საქართველოს სსრ და უკრაინის სსრ სახალხო არტისტი, კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ლ. ალექსიძე, სოციალისტური შრომის გმირი, გაგრის რაიონის კოლმეურნეობა „მეგობრობის“ წევრი მ. ლოგვრგი.

ტალინის აეროპორტში მოძმე ქართველი ხალხის წარმოგზავნილებს შეხვდნენ ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჰ. პალმისი, ესტონეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ბრენი, ესტონეთის სსრ კულტურის მინისტრი ა. ლაუსი, რესპუბლიკის კულტურის მინისტრის მოადგილეები ჰ. უსმანი და რ. ვიიმსი, ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ი. უბი, ესტონეთის კომპარტიის ტალინის საქალაქო კომიტეტის მდივანი რ. რისტლაანი, ესტონეთის ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარე ა. საარმე

, ტალინის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს ადმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ვ. ხალმეიგი, ესტონეთის სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ი. სირმანი, საზოგადოებრივობის წარმომადგენლები.

ლამაზ ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილმა ქალიშვილებმა და ჭაბუკებმა ყვავილები მიართვეს სტუმრებს. ჩვენი ხალხი დიდად მოხარულია, რომ შესაძლებლობა მიეცა უშუალოდ გაეცნოს ქართველი ხალხის ძველ და თვითმყოფ ხელოვნებას, — თქვა ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. ვალიასმა, რომელიც მიესალმა სტუმრებს. — ჩვენ ვიცით, თუ რა დიდი მიღწევებით შეხვდა ცხოვრების ყველა დარგში თქვენი ხალხი ეროვნულ დღესასწაულს — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავს. ჩვენ გულწრფელად გვახარებს თქვენი წარმატებანი, ვინაიდან, მართალია, ჩვენს რესპუბლიკებს დიდი მანძილი აყოფს, მაგრამ ჩვენ სსრ კავშირის ხალხთა ერთიანი დიდი ოჯახის წევრები ვართ.

კეთილი იყოს თქვენი ჩამოსვლა ძველ კალევის მიწაზე, ძვირფასო ქართველო ძმებო!

საპასუხო სიტყვაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. გოგიჩაიშვილი მოელი ქართველი ხალხის სახელით გულთბილად მიესალმა მოძმე ესტონეთის მშრომელებს და უსურვა მათ შემდგომი წარმატებანი დიდ შემოქმედებითს შრომაში. ჩვენ, თქვა მან, ვგრძნობთ მომავალი შეხვედრის მთელ პასუხისმგებლობას. ვიმედოვნებთ, რომ ქართული კულტურის დღეები ესტონეთში წარმატებით ჩაივლის და ხელს შეუწყობს ჩვენი ხალხების შემდგომ დაახლოებას.

დარბაზობა

ესტონეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

ტალინი, 23 ივნისი. (საქდესის სპეც. კორ.). 23 ივნისს საქართველოს სსრ რესპუბლიკის კულტურის დღეებში მონაწილეობის მისაღებად აქ ჩამოვიდა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ბოგანიშვილი. დელეგაციის შემადგენლობაში არიან — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე დ. ჩხეიძეშვილი, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი ო. ნიკაძეშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე შ. სალარიძე, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ზ. მჟავლიშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ე. ჭირსალაძე, საქართველოს სსრ და უკრაინის სსრ სახალხო არტისტი, კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ლ. ალექსიძე, სოციალისტური შრომის გმირი, გაგრის რაიონის კოლმეურნეობა „მეგობრობის“ წევრი მ. ლოგვრგი.

ტალინი, 23 ივნისი. (საქდესის სპეც. კორ.). ესტონეთში საქართველოს სს რესპუბლიკის კულტურის დღეებში მონაწილეობის მისაღებად აქ ჩამოვიდა დელეგაცია, რომელიც მეთაურობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ბოგანიშვილი. დელეგაციის შემადგენლობაში არიან — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე დ. ჩხეიძეშვილი, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი ო. ნიკაძეშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე შ. სალარიძე, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ზ. მჟავლიშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ე. ჭირსალაძე, საქართველოს სსრ და უკრაინის სსრ სახალხო არტისტი, კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ლ. ალექსიძე, სოციალისტური შრომის გმირი, გაგრის რაიონის კოლმეურნეობა „მეგობრობის“ წევრი მ. ლოგვრგი.

ტალინის აეროპორტში მოძმე ქართველი ხალხის წარმოგზავნილებს შეხვდნენ ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჰ. პალმისი, ესტონეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ბრენი, ესტონეთის სსრ კულტურის მინისტრი ა. ლაუსი, რესპუბლიკის კულტურის მინისტრის მოადგილეები ჰ. უსმანი და რ. ვიიმსი, ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ი. უბი, ესტონეთის კომპარტიის ტალინის საქალაქო კომიტეტის მდივანი რ. რისტლაანი, ესტონეთის ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარე ა. საარმეიგი, ტალინის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს ადმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ვ. ხალმეიგი, ესტონეთის სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ი. სირმანი, საზოგადოებრივობის წარმომადგენლები.

ლამაზ ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილმა ქალიშვილებმა და ჭაბუკებმა ყვავილები მიართვეს სტუმრებს. ჩვენი ხალხი დიდად მოხარულია, რომ შესაძლებლობა მიეცა უშუალოდ გაეცნოს ქართველი ხალხის ძველ და თვითმყოფ ხელოვნებას, — თქვა ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. ვალიასმა, რომელიც მიესალმა სტუმრებს. — ჩვენ ვიცით, თუ რა დიდი მიღწევებით შეხვდა ცხოვრების ყველა დარგში თქვენი ხალხი ეროვნულ დღესასწაულს — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავს. ჩვენ გულწრფელად გვახარებს თქვენი წარმატებანი, ვინაიდან, მართალია, ჩვენს რესპუბლიკებს დიდი მანძილი აყოფს, მაგრამ ჩვენ სსრ კავშირის ხალხთა ერთიანი დიდი ოჯახის წევრები ვართ.

კეთილი იყოს თქვენი ჩამოსვლა ძველ კალევის მიწაზე, ძვირფასო ქართველო ძმებო!

საპასუხო სიტყვაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. გოგიჩაიშვილი მოელი ქართველი ხალხის სახელით გულთბილად მიესალმა მოძმე ესტონეთის მშრომელებს და უსურვა მათ შემდგომი წარმატებანი დიდ შემოქმედებითს შრომაში. ჩვენ, თქვა მან, ვგრძნობთ მომავალი შეხვედრის მთელ პასუხისმგებლობას. ვიმედოვნებთ, რომ ქართული კულტურის დღეები ესტონეთში წარმატებით ჩაივლის და ხელს შეუწყობს ჩვენი ხალხების შემდგომ დაახლოებას.

ესტონეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

ტალინი, 23 ივნისი. (საქდესის სპეც. კორ.). 23 ივნისს საქართველოს სსრ რესპუბლიკის კულტურის დღეებში მონაწილეობის მისაღებად აქ ჩამოვიდა დელეგაცია, რომელიც მეთაურობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ბოგანიშვილი. დელეგაციის შემადგენლობაში არიან — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე დ. ჩხეიძეშვილი, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი ო. ნიკაძეშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე შ. სალარიძე, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ზ. მჟავლიშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ე. ჭირსალაძე, საქართველოს სსრ და უკრაინის სსრ სახალხო არტისტი, კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ლ. ალექსიძე, სოციალისტური შრომის გმირი, გაგრის რაიონის კოლმეურნეობა „მეგობრობის“ წევრი მ. ლოგვრგი.

ტალინის აეროპორტში მოძმე ქართველი ხალხის წარმოგზავნილებს შეხვდნენ ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჰ. პალმისი, ესტონეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ბრენი, ესტონეთის სსრ კულტურის მინისტრი ა. ლაუსი, რესპუბლიკის კულტურის მინისტრის მოადგილეები ჰ. უსმანი და რ. ვიიმსი, ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ი. უბი, ესტონეთის კომპარტიის ტალინის საქალაქო კომიტეტის მდივანი რ. რისტლაანი, ესტონეთის ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარე ა. საარმეიგი, ტალინის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს ადმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ვ. ხალმეიგი, ესტონეთის სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ი. სირმანი, საზოგადოებრივობის წარმომადგენლები.

ლამაზ ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილმა ქალიშვილებმა და ჭაბუკებმა ყვავილები მიართვეს სტუმრებს. ჩვენი ხალხი დიდად მოხარულია, რომ შესაძლებლობა მიეცა უშუალოდ გაეცნოს ქართველი ხალხის ძველ და თვითმყოფ ხელოვნებას, — თქვა ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური

მეცხოველეობას—მტკიცე საკვები ბაზა!

სილნაღი. (საკ. კორ.). გადაიქციოთ მეცხოველეობა რენტაბელურ დარგად — ეს მოწოდება ერთიანად ამოძრავებს სილნაღის რაიონის სოფლის მეურნეობის ყველა მეშაკს — მემინდვრესა თუ მეცხოველეს, მექანიზატორსა თუ ავტომძღოლს. 7.800 ტონა თივა, 17.200 ტონა ნამჯა, 53.000 ტონა სილოსი, 5.310 ტონა საკვები ძირხვენები, ასეთია მათი ამ წლის საბრძოლო ციფრები. ეს ყველფერი უნდა გაკეთდეს ახლა, მოსავლის აღების ცხარე დღეებში. ქერის მოსავლის აღება 6.000 ჰექტარზე დასასრულს უახლოვდება და თითქმის მთლიანად მისი ნამჯა შეგროვილი და დაზვინულია. პარალელურად მიმდინარეობს აღებული ფართობების ხვნა და სანაწვერალო სიმინდის თესვა. 850 ჰექტარზეა იგი უკვე დათესილი, სულ კი 4.800 ჰექტარზე დათესავენ.

უხვში საკვების დაგროვების საქმე კარგად მიაწყეს სოფლების ტიბაანის, ძველი ანაგის, ბოდბისხევის კოლმეურნეობებში და ნუკრიანის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძში“. 310 ტონა თივა, რასაც გეგმა ითვალისწინებდა, უკვე მიჰყიდეს რაიონის კოლმეურნეობებმა სახელმწიფოს. ნახევარზე მეტი ამ კოლმეურნეობათა მიერ არის დამზადებული.

პირუტყვის საკვების დაგროვებისათვის კოლმეურნეობებში შექმნილია სპეციალური ბრიგადები, მექანიზატორთა და მცველთა ჯგუფები. ამ საქმეს ავალებენ გამოცდილ და ინიციატიურ ამხანაგებს, კომუნისტებს, კომკავშირელებს. თიბის თიბვაზე მუშაობს 70 ტრაქტორი და ამდენივე სათიბი მანქანა.

სოფელ მაღაროს კოლმეურნეობაში ამ საქმეს სათავეში ჩაუდგა რესპუბლიკის დამსახურებული მექანიზატორი, სოციალისტური შრომის გმირის ივანე ბაიდოშვილის სატრაქტორო ბრიგადა. მექანიზატორები დღედაღამ მინდორში არიან. უქმად არ კარგავენ არც ერთ საათს. უკვე შეაგროვეს და დაბინავეს 500 ტონა ნამჯა, 450 ტონა თივა და 150 ჰექტარზე დათესეს სანაწვერალო სიმინდი.

ქარსაფარ ზოლებში, გზისა და ტყის პირებში შეხვდებით ახალგაზრდებს ჯგუფებს. ერთნი ხელით თიბავენ, მეორენი აგროვებენ და ზვინავენ. კოლმეურნეობათა პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა საკვების დაგროვება დამკვრელურ ფორონტად გამოაცხადეს. კილოგრამს კილოგრამი ემატება. ტონებს ტონები და ყოველდღიურად მტკიცდება პირუტყვის საკვებ ბაზა. მისმა ორგანიზატორებმა და შემქმნელებმ

პირველადი ორგანიზაცია — პარტიის საფუძველი

თვითეულ პარტიულ ორგანიზაციაში უნდა უზრუნველვყოთ ყველა კომუნისტის აქტიური მონაწილეობა პარტიულ გადაწყვეტილებათა განხილვაში, შემუშავებასა და განხორციელებაში, განვავითაროთ პრინციპული კრიტიკა და თვითკრიტიკა — ნაკლოვანებათა გამოსწორებისა და საქმის გაუმჯობესების ნაცადი მეთოდი.

— სკკპ XXIV კონგრესის რეზოლუციიდან.

ბარდაგნის რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელებს აესახლიათ საპატიო ამოცანა: მთელი წლის განძინლზე სოფლის მეურნეობის მაღალხარისხოვანი პროდუქტებით უზრუნველყონ თბილისი და რუსთავი. ამ მხრივ მათ გარკვეული წარმატებები მოიპოვეს გასულ ხუთწლედში. სახელმწიფოს მიეყიდა: 23.740 ტონა ხორცი, 70 826 ტონა რძე, 175 მილიონ 953 ათასი კვერცხი, 164.130 ტონა ბოსტნეული, 33.720 ტონა ყურძენი, 20 000 ტონა მარცვლეული, 17.357 ტონა ხილი, 2 403 ტონა მატყლი და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტები.

სამრეწველო საწარმოებმა შარშან სამშობლოს მისცეს 115 მილიონი მანეთის პროდუქცია. გადაჭარბებით შესრულდა ყველა სახის პროდუქციის გამოშვებას ხუთწლიანი გეგმა.

ეს წარმატებანი სოფლის მეურნეობის მუშაკებისა და საწარმოთა კოლექტივების შემოქმედებითი შრომის შედეგია და იგი სათანადოდაც იქნა შეფასებული. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ვარკვეული სიბეჭოთა მეურნეობის კოლექტივი დაჯილდოვდა ლენინის ორდენით თბილისის მეფრინველეობის ფაბრიკას, წყალმშენის ტრესტის № 8 სამშენებლო უბანსა და მთელ რიგ სხვა კოლექტივებს გადაეცათ საიუბილეო სიგელები. მთავრობის მაღალი ჯილდოებით აღინიშნა ეკალიულ მოწინავე ადამიანთა შრომა. მაგალითად, გარდაბნის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მწველავი გ. ალიევა სოციალისტური შრომის გმირი გახდა, ასეულობით მშრომელს გადაეცა სსრ კავშირის ორდენები და მედლები.

ახალი ხუთწლედი უდიდეს პერსპექტივებს სახავს რაიონის მშრომელთა წინაშე.

ხორცის წარმოება გაიზრდება 28.502 ტონამდე, რძის — 77 ათას ტონამდე ბოსტნეულის — 219 ათას ტონამდე, ყურძნის — 43.700, კარტოფილის — 5.650 ტონამდე, კვერცხისა — 283 მილიონ ცალამდე.

ამ ამოცანების წარმატებით განხორციელება პარტიის რაიკომისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციებისაგან მოითხოვს პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფას, პარტორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობისა და თვითეული კომუნისტის ავანგარდული როლის ამაღლებას.

სკკპ XXIV კონგრესმა ხაზი გაუსვა პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის შემდგომი ამაღლების აუცილებლობას. პარტიის რაიონული კომიტეტი ამოცანად ისახავს გადააქციოს ყველა პირველადი პარტიული ორგანიზაცია მასების ნამდვილად მებრძოლ ორგანიზატორებად. ეს დიდი ამოცანაა, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ თვითეულ პირველად პარტიულ ორგანიზაციას გარკვეული თავისებურებანი აქვს და ყველაფერი გათვალისწინებული უნდა იქნას მათდამი ხელმძღვანელობის დროს. პარტიის რაიონული კომიტეტი ეხმარება პირველად პარტიულ ორგანიზაციებს ხელმძღვანელობის ლენინური სტილის დაუფლებაში, ავითარებს მათს ცოცხალ შემოქმედებას, ასწავლის წარმოების ეკონომიკაში ღრმად ჩაწვდომასა და მიზანსწრაფულ მუშაობას.

თვითეული პირველადი პარტორგანიზაციის ნაყოფიერი მოღვაწეობა ბევრად არის დამოკიდებული მისი მდგომარეობის უნარსა, ცოდნასა და გამოცდილებაზე. მდგომარეობა უნდა იყოს ფართო ჰორიზონტის ადამიანი, მიღებული ჰქონდეს კარგი პრაქტიკული წრთობა, იძლეოდეს პირად მაგალითს, შეეძლოს ადამიანებთან სიერთო ენის გამონახვა, მხარს უჭერდეს ყოველივე ახალს, პროგრესულს, შეურიგებლობას იჩენდეს ნაკლოვანებებისადმი.

უკანასკნელ ხანებში მნიშვნელოვნად გაუჯობესდა რაიონის პირველადი პარტორგანიზაციების მდივნების ხარისხობრივი შემადგენლობა. მაგალითად, ახალარჩეული მდივნების თითქმის 100 პროცენტს უმაღლესი და საშუალო განათლება აქვს. „ძველი“ მდივნების დიდი ნაწილი კი პარტიული მუშაობის საქმეო გამოცდილებით არის.

პარტიის რაიკომი ახალარჩელი მდივნებისათვის სისტემატურად აწყობს თათბირ-სემინარებს. გარდა ამისა, მოქმედებს პარტორგანიზაციების მდივნების ერთწლიანი სკოლა და მუდმივმოქმედი სემინარი. ამ დღეებში გაიმართა სემინარის მორიგი მეცადინეობა, რომელზეც განხილულ იქნა საკითხები: „სკკპ XXIV ყრილობა და პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლება“, „პარტიული ორგანიზაციების მუშაობის დაგეგმვა, ბიუროს სხდომებისა და პარტიული კრებების მომზადება“, „პარტიული ორგანიზაციების მუშაობა კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის ლენინური პრინციპების განხორციელების საქმეში“.

ძირითად მოხსენებათა მოსმენის შემდეგ გაიმართა პარტორგანიზაციების მდივნების საქმიანი სხვებაასი. მათ ილაპარაკეს თავიანთი მუშაობის გამოცდილებაზე, დასვეს მთელი რიგი საჭირბოროტო საკითხები და წამოაყენეს საქმიანი წინადადებანი. ეს მაგალითი იმიტომ მოვიყვანე. რომ ზოგიერთი სემინარის მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებაა. აი, შეკრებენ მდივნებს, წაუკითხავენ ლექციებისა და მოხსენებების ციკლს და ამით ამთავრებენ საქმეს. მაგრამ მთი მოწყობის ორგანიზატორები არ ითვალისწინებენ მთავარს — რა მიიღეს ადამიანმა ამ ლექციებიდან და მოხსენებებიდან, რა გზით ფიქრობენ ისინი პრაქტიკულ მუშაობაში გამოიყენონ სემინარებზე მიღებული თეორიული ცოდნა.

სემინარები ეწყობა აგრეთვე ადგილებზე — მსხვილ პარტიულ კომიტეტებთან, სადაც ძირითად მომხსენებლებად თვით პარტიული კომიტეტების მდივნები გამოდიან. საინტერესო მოხსენებები წაიკითხეს, მაგალითად, სარფართოდ დანერგონ ისინი ადგილებზე პარტორგანიზაციების დახმარებით.

სექციებმა უკვე გადადგეს პირველი პრაქტიკული ნაბიჯები. მაგალითად, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სექციამ მიზნად დასახა რაიონის საბჭოთა მეურნეობებში დანერგოს კომპლექსური მექანიზაცია, რისთვისაც გამოიყენებს ქვეყნის მოწინავე მექანიზატორთა გამოცდილებას. კონკრეტული ღონისძიებები შეიმუშავეს სხვა სექციებმაც.

იმედის მომცემია ისეთი ღონისძიების მოწყობა, როგორიც არის პარტიის რაიკომში მსხვილი პარტიული ორგანიზაციების მდივნების ყოველკვირეული შეკრება. ასეთ შეკრებაზე ვიხმენთ ინფორმაციებს უკანასკნელ კვირაში ამა თუ იმ ორგანიზაციის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ, ვაძლევთ მათ საჭირო რჩევა-დარიგებას და რეკომენდაციებს.

ცხოვრება გვიკარნახებს, რომ პირველადი პარტიული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს უშუალო კონტაქტებს. იყო დრო, როცა კუმისის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მუშაობა სერიოზულად ბოიკოტდებოდა. არ სრულდებოდა მთელ რიგ ხასოფლო-სამეურნეო კულტურათა წარმოების გეგმები, ირღვეოდა შრომის დისციპლინა, მაღალი იყო პროდუქციის თვითღირებულება. პარტკომის რაიკომმა განიხილა აღნიშნული მეურნეობის საკითხი დასაჭიროდ ჩათვალა დახმარების გაწევად მეურნეობაში გაეგზავნა რაიკომის აპარატის მუშაკთა ჯგუფი. მათ პარტბიუროს მდივან ბ. ლალიძესთან ერთად დაათვალიერეს მეურნეობის ცალკეული უბნები, გადასინჯეს წარმოების გადამწყვეტ უბნებზე კომუნისტთა განაწილების საკითხი. გამოირკვა, რომ ზოგიერთ ობიექტზე ჯერ კიდევ შექმნილი არ იყო პარტიული ორგანიზაციები და პარტიული ჯგუფები. კომუნისტებმა ითავეს დამატებითი რეზერვების გამონახვა, გამოამეღავნეს ნაკლოვანებები, უჩვენეს მათი დაძლევის გზები, საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომის მაგალითი. ყოველივე ეს საქმარისი გახდა მეურნეობაში მდგომარეობის გამოსწორებისათვის.

ჩვენი მუშაობის პრაქტიკაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან სიახლედ უნდა ჩაითვალოს პარტიის რაიკომთან სოციოლოგიური გამოკვლევისა და სოციალური დაგეგმვის რაიონული საბჭოს შექმნა. ამასთან დაკავშირებით მოწყობილი სპეციალურ სემინარზე საჭიროდ ჩავთვალეთ მსგავსი საბჭოები შეგვექმნა მსხვილ პირველადს ორგანიზაციებთან.

რაში მდგომარეობს ამ ღონისძიების მნიშვნელობა? პირველადი პარტიული ორგანიზაციები ანკეტური გამოკითხვის საშუალებით სწავლობენ თავიანთი შრომითი კოლექტივების საარსებო, მცხოვნელულ საკითხებს, შემდეგ კი სახავენ გზებს მათ მოსაგვარებლად. ამას სასურველი შედეგიც მოსდევს. მაგალითად, ლოკინის მეფრინველეობის ფაბრიკაში სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგად დაამზადეს ახალი ტიპის მექანიზებული საფრინველეები. ამიტ ფიზიკური შრომისაგან გათავისუფლდა 20-ზე მეტი კაცი. მუშა-მოსამსახურეთა ცხოვრების პირობებს გაუმჯობესების მიზნით მოეწყო პიგიენური ოთახები, აშენდა ახალი ბანო, პორის საცხობი, მუშათა საშუალო თვიური ხელფასი 120 მანეთამდე გაიზარდა, მოწესრიგდა პრემიალური ანაზღაურება, გაუმჯობესდა შესრულებულ სამუშაოთა აღრიცხვა და კონტროლი, შემცირდა მუშახელის დენადობა და სხვ.

მრავალი საყურადღებო ღონისძიება განხორციელდა, ამ მხრივ ვარკვეთილი, სართველისა და სხვა საბჭოთა მეურნეობებში.

ამ საამლეს მომავალში უფრო მეტ ყურადღებას მივაქცევთ.

პარტიული ორგანიზაციებისადმი დახმარებისა და ხელმძღვანელობის საქმეში გადამწყვეტი როლი რაიკომის ინსტრუქტორებს ეკუთვნით. რაიკომის ინსტრუქტორი შემოქმედებითი მუშაკია, მის ცოდნასა და გამოცდილებაზე დიდადაა დამოკიდებული პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლება. პარტორგანიზაციის მდივანი რაიკომის ინსტრუქტორის სახით უნდა ხედავდეს დიდი გამოცდილების მქონე ამხანაგს, რომელიც კარგად ერკვევა პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობაში, ცალკეულ რთულ სიტუაციებში. ამიტომ პარტიის რაიკომი ინსტრუქტორებთან მუშაობას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს. ისინი კვირაში ეოთხელ იკრიბებიან ხაორგანიზაციო განყოფილებაში, სადაც იღებენ ნამდვილად შეგნებული პოლიტიკური მებრძოლია და საქმით, თავისი საზოგადოებრივი და პირადი ცხოვრებით ამართლებს მასების წინამძღოლის როლს. კოლმეურნეობის გადამწყვეტ უბნებს სათავეში კომუნისტები უდგანან, ბევრი მცირე საქმე



მეგობრობისა და ძმობის დღესასწაული

ქართული კულტურის დღეები ესტონეთში

23 ივნისს ტალინის „კალევის“ სპორტის სახლში საზეიმოდ გაიხსნა ქართული კულტურის დღეები ესტონეთის სს რესპუბლიკაში.

წინელ ტრანსპარანტებზე ქართულ და ესტონურ ენებზე წარწერილია: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ქართველო ძმებო!“

ამაყად ფრიალებს სსრ კავშირის, საქართველოსა და ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ალმები.

საზეიმო სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. შიალიუსმა.

დიდი და სასიხარულო დღესასწაულია ესტონეთში, თქვა მან. დღეს ჩვენში იწყება ქართული კულტურის დღეები.

რესპუბლიკის დედაქალაქ ტალინსა და სტუდენტთა ქალაქ ტარტუში, ნარვის ფიქრებთან და საკურორტო ქალაქ პიარნუში, პალასმაასა და ვიანდრაში დღის განმავლობაში საზეიმო კონცერტები, შესვლილდება ქართული მუსიკა, ცეკვა-ლხვინი ქართული ცეკვები.

სიხარულით უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ დარბაზში არიან ჩვენი ძვირფასი მეგობრები — საბჭოთა საქართველოს წარმომადგენლები საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის მ. გოგიჩაიშვილის მეთაურობით, ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი.

ნება მიბოძეთ ყველა დამსწრის სახელით, ჩვენი რესპუბლიკის ყველა მშრომელის სახელით გულითადად გითხრათ „ტერე ტულემასტ!“ („კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!“). ძმურად მოგესალმებით და ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ, ძვირფასო ქართველო ძმებო!

მომძმე საბჭოთა რესპუბლიკების კულტურული ღირებულებათა გაზიარება შესანიშნავი ტრადიცია გახდა, რომელიც ვვეხმარება უფრო ღრმად გავიგნოთ მოძმე საბჭოთა ხალხების თავისთავად შესანიშნავ შემოქმედებას, რომელიც ამდიდრებს ჩვენს მრავალეროვნულ სოციალისტურ კულტურას და კიდევ უფრო განამტკიცებს საბჭოთა ხალხების ურღვევ მეგობრობას.

ჩვენში. ესტონეთში ბევრი რამ ვიცით საქართველოს, ქართველი ხალხის უძველესი კულტურის, ახალი ცხოვრების შენებლობაში საქართველოს სსრ შშრომელთა სახელოვანი საქმეების შესახებ. საბჭოთა ესტონეთსა და საბჭოთა საქართველოს აკავშირებს მეგობრობა, რომელიც მოიცავს ჩვენი ცხოვრების ყველა დარგს.

სულ ცოტა ხნის წინათ, მომდინარე წლის მაისში საბჭოთა ესტონეთმა მთელ ჩვენს ქვეყანასთან ერთად დიდი ზეიმით აღნიშნა ქართველი ხალხის ისტორიის ღირსშესანიშნავი თარიღი — საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომუნისტური პარტიის 50 წლისთავი.

დღეს, ესტონეთში ქართული კულტურის დღეებს კახსნის დღის განსაკუთრებული ძალით ყდერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის სიტყვები საიუბილეო ზეიმზე თბილისში: „საბჭოთა კავშირში დიდად აფასებენ და უყვართ ქართული ხელოვნება, საბჭოთა კულტურის ერთ-ერთი მძლავრი და ნაყოფიერი ნაკადი. ქართული მუსიკა, პოეზია, თეატრი, კინო ამდიდრებენ საბჭოთა ადამიანების შინაგან სამყაროს, მოუწოდებენ სიკეთისა და ნათელი იდეალებისაკენ, აღაფრთოვანებენ ყოველივე ამის წინააღმდეგ საბრძოლველად, რაც ხელს უშლის ბედნიერ, ხალისიან ცხოვრებას“.

ეს ძალზე მაღალი, მაგრამ ამასთან საკმაოდ დამსახურებული „ფასია.

ესტონელებს გულწრფელად უხარიათ, რომ შესაძლებლობა მოეცათ უფრო სიფაქიზეებად და ფართოდ გავიცნონ ქართული მუსიკას, სიმღერებს, ცეკვებს, კინოხელოვნებას, მხატვრებს, მწერლების ნაწარმოებებს. ამ დღეებში ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში გაიმართება ბევრი საინტერესო შეხვედრა, საუბარი, კონცერტი. თქვენ, თქვენი კოლეტივები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი აქ შეიძენთ ბევრ ახალ ერთგულ მეგობარს, ფრენის ნიჭის თაყვანისმცემელს. ამავე დროს ჩვენც შევიძენთ, ძვირფასო მეგობრებო, გაგაცნონ ესტონელი ხალხის ყოფაცხოვრება, საბჭოთა ესტონეთის მიღწევები. ასეთი გაცვლა ძლიერ სასარგებლო იქნება ჩვენი საერთო საქმისათვის.

ესტონელი ხალხის, საბჭოთა ესტონეთის ყველა მშრომელის სახელითნება მიბოძეთ, ძვირფასო მეგობრებო, თქვენ, თქვენი სახით კი მთელ ქართველ ხალხს, საბჭოთა საქართველოს ყველა შრომელს ვუსურვო ახალი შემოქმედებითი გამარჯვებები ჩვენი საყვარელი მრავალეროვანი სოციალისტური სამშობლოს განვითარებისა და აყვავებისათვის.

ესტონეთის სს რესპუბლიკაში საქართველოს კულტურის დღეების დაწყებისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა გახსნილად ცხადდება. ჟღერს სსრ კავშირის, საქართველოსა და ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ჰიმნები. პიონერები და მოსწავლეები ყვავილთა თაიგულებს უძღვნიან სტუმრებს. შემდეგ სიტყვა მიეცა ესტონეთის მწერალთა კავშირის მდივანს ვ. ხმელმანს.

დღეს, თქვა მან ვიწყებთ ჩვენს საერთო დიდ დღესასწაულს — ქართული კულტურის დღეებს საბჭოთა ესტონეთში. ჩვენ პირველად გვაქვს შესაძლებლობა ესოდენ ფართოდ გავიცნოთ თქვენი ხალხის მუსიკალურ, ქორეოგრაფიულ, სასიმღერო და სახვით ხელოვნებას. უკანასკნელ ოცდაათ წელიწადში ჩვენ დავიწყეთ ცოდნა ამ ფერადოვანი ეროვნული ფრანც ლელერი, აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი გ. ჯიბლაძე, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების თავმჯდომარე გ. მელაძე, ამ საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე ა. ჟღენტი და სხვები.

დარბაზობის დროს გაიმართა გულითადი მეგობრული საუბარი. ამხ. კიკნაძემ. კერძოდ, უამბო სტუმრებს, თუ როგორია რესპუბლიკის ხელისუფლების ზრუნვა ეროვნული კულტურის, ენის, ტრადიციების, ეროვნული ფერწერა, ეროვნული ლიტერატურა, ეროვნული ხელოვნების, ეროვნული ფერწერის, მუსიკის, თეატრის წარმატებანიც. თქვენ იცნობთ მათ ქართველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენებიდან, მუსიკალური და ეროვნულ-ფოლკლორული კოლექტივების გასტროლების, პიანისტების, მევიოლინეების, მომღერლების კონცერტებითა და „ქართული ფილმის“ სტუდიის კინოსურათებით.

საქართველო ძველი, მდიდარი და თავისთავადი კულტურის რესპუბლიკაა. საუკუნეთა სიღრმიდან მოაღწია ჩვენამდე მთა რუსთაველის პოემამ. რომელმაც უმდერა ხალხთა მეგობრობასა და ძმობას. ჩვენს დროში ამ მეგობრობამ უმაღალითო აყვავებას მიაღწია. იგი ვვიხმარება ცხოვრებასა და შემოქმედებაში, ნათელი მომავლის მშენებლობაში. იგი ამდიდრებს ჩვენს კულტურას, ემსახურება ხალხთა დაახლოების საქმეს.

ესტონელი და ქართველი ხალხების, ისევე როგორც ჩვენი დიადი მრავალეროვანი სამშობლოს ყველა სხვა ხალხის მეგობრობა და ძმობა წარმოიშვა სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის ერთობლივ ბრძოლაში.

ჩვენმა მეგობრობამ და ძმობამ ღირსეულად გაუძლო მკაცრ განსაცდელს სამამულო ომის წლებში.

და ჩვენ სიამაყით ვიხსენებთ იმათ, მათ შორის ჩვენს თანამემამულეებსაც, ვინც სისხლი დაღვარა ესტონეთის მიწა-წყალზე და დაიცვა იგი ფაშისტი დამპყრობლებისაგან.

1941 წელს იმ მე-16 მსროლელთა დივიზიის კომისრად, რომელიც ტალინის მისადგომებს იცავდა, იყო ვასილ პაპელეს-ძე მეგანაძე, ამჟამად სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, რომელმაც გვითხრა ძმური სალამი გადმოგიგეთ და გისურვოთ დიდი წარმატებანი, ბედნიერება და შემდგომი აყვავება.

რევოლუციამდე ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე, 1882 წელს, გაჭირვებისა და მწუხარების ძნელმა გზამ, უკეთესი ხვედრის ძიებამ საქართველოში მოიყვანა ესტონელთა დიდი ჯგუფი. ახლა მათი შთამომავალნი ჩვენს რესპუბლიკაში ცხოვრობენ და შრომობენ. აქ შეიძინეს მეორე სამშობლო, სამუდამოდ დაუმყარდნენ ჩვენს ხალხს. ესტონეთის კოლმეურნეობები „მეგობრობა“, „ესტონეცი“ და სხვები, რომლებიც აფხაზეთშია განლაგებული, მილიონერი მეურნეობებია. შრომისმოყვარეობამ და ადამიანის ხასიათის სხვა შესანიშნავმა თვისებებმა „ქართველ ესტონელებს“ საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა მოუხვეჭეს.

ჩვენ ვამაყობთ, რომ ვგულავს სოციალისტური შრომის გმირი ესტონელები.

ვხარობთ, რომ დღეს ჩვენთან ერთად საქართველოს წარმომადგენელია ესტონელი ქალი, სოციალისტური შრომის გმირი, ბიგრის ინაინის კოლმეურნეობა „მეგობრობის“ წევრი მაიმო მიხეილის ასული ლომბერგი.

ბევრი თქვენი თანამემამულე აქტიურად მონაწილეობს საქართველოს სახელმწიფოში, საზოგადოებრივ, კულტურულ ცხოვრებაში. საქართველოსთან მჭიდროდ დაკავშირებულია ესტონეთის ისეთ თვალსაჩინო მოღვაწეთა და მწერლთა ცხოვრება, როგორიც არიან ე. ბორხხეხე, ე. ვალდე, ა. ხ. ტამსაარე.

„საქართველოში, — წერდა ვალდე, — ჩრდილოეთიდან ჩამოსული კაცი თითქოს ხვდება ახალ სამყაროში, რომელიც აღსავსეა მხატვრის ფუნჯისა და პოეტური თავისთავადობის ღირსი შვენიერებით“.

საქართველოზე ნარკვევები გამოუქვეყნებიათ სხვა ესტონელ ლიტერატორებსაც.

1896 წელს ესტონეთში გამოქვეყნდა ქართული ლიტერატურის კლასიკოსების — ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ბიორგი ერისთავის ნაწარმოებთა პირველი თარგმანები.

რაც შეეხება საქართველოს, აქ მასალები ესტონეთსა და ესტონელებზე იბეჭდებოდა უკვე მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან.

1899 წელს გამოიცა ნინო ზურაბაშვილის ნაშრომი, რომელიც ესტონურს ეძღვნება. სამი წლის შემდეგ თბილისში საორგანო მუსიკის კონცერტები გამართა ესტონური ტრადიციული მუსიკის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა მიინა კიპრამმ, რომელსაც ალტაციებული შეხვდა ქალაქის მოწინავე საზოგადოებრიობა.

XIX-XX საუკუნეებში ტარტუს უნივერსიტეტში მიიღო განათლება 400-მდე ქართველმა. ტარტუს ქართველი სტუდენტობა, მისი მოღვაწეობა, ესტონეთის რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობა ესტონეთ-საქართველოს მეგობრული ურთიერთობის ისტორიის უმნიშვნელოვანესი ფურცელია. ტარტუს უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ბევრი ქართველი შემდეგ ქართული მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების, სახალხო განათლების თვალსაჩინო მოღვაწე გახდა.

ერთ-ერთმა მათგანმა, ილიეტ აქ სამედიცინო ფაკულტეტზე სწავლობდა 1909-1914 წლებში, ამჟამად აკადემიკოსმა, ცნობილმა ქირურგმა, სოციალისტური შრომის გმირმა კონსტანტინე დავითის-ძე ერისთავმა მთხოვა მხურვალე სიყვარულისა და მადლიერების სიტყვები გადავეცი მის მშობლიურ უნივერსიტეტსა და მთელ ესტონელ ხალხს.

ესტონეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობა, რომელსაც აქვს ღრმა სახელოვანი ტრადიციები, ტრადიციები, რომლებიც დიდი რუსული კულტურის ევროპელნაყოფიერი გავლენით ვითარდებოდა, ჩვენს დროშიც გაძლიერებით ვითარდება. ჩვენში ითარგმნა ესტონელ კლასიკოსთა ნაწარმოებები, წარმატებით მიმდინარეობს ესტონელი მომღერლებისა და მხატვრული კოლექტივების გასტროლები, ეფერს ესტონური სიმღერები. ჩვენში კარგად იცნობენ და დიდ პატივს სცემენ ესტონური ლიტერატურისა და ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეებს.

საქართველოში კარგად იცნობენ გამოჩენილი თანამედროვე ესტონელი მწერლის, ლენინური პრემიის ლაურეატის იუანან სმუელის შემოქმედებას. მისი წიგნები თარგმნილია ქართულად. იუანან სმუელი ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე სანატერო სტუმარი იყო რუსთაველის 800 წლისთავის დღესასწაულზე. ამ შესანიშნავ მწერალსა და ადამიანს, მგზნებარე პატრიოტს დიდხანს არ დავივიწყებს ქართველი ხალხი.

პარტიისა და მთავრობის წინასწარდასახულობათა წარმატებით განხორციელების საქმეში დიდი როლი უნდა შეასრულოს საბჭოთა ხალხების მეგობრობისა და ძმობის შემდგომმა განმტკიცებამ, სოციალისტური ერების სულიერ კულტურათა კიდევ უფრო დაახლოებამ და ურთიერთგამდიდრებამ.

ქართული კულტურის დღეები ესტონეთში და ესტონური კულტურის დღეები საქართველოში ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი რგოლია ამ საქმეში.

ნება მიბოძეთ ერთხელ კიდევ მხურვალე მადლობა გადაგიხადოთ ქართული ხელოვნებისადმი ინტერესისათვის, გულთბილი შეხვედრისა და ყურადღებისათვის, რომლითაც გარემოსილია ჩვენი დელეგაცია.

ესტონეთის სს რესპუბლიკაში საქართველოს კულტურის დღეების საზეიმო გახსნას დაესწრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ესტონეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მადერი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, ესტონეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. კლაუსონი, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრი ბ. ლემბედევი, ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ვილიასი, ესტონეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ა. ანსბერგი, ესტონეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. რიუნი, ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ო. უტი, ესტონეთის სსრ კულტურის მინისტრი ა. ლაუსი, ესტონეთის სსრ კულტურის მინისტრის მოადგილეები ბ. უუსმანი და რ. ვიესი, ესტონეთის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, საქართველოს სსრ დელეგაციის წევრები.

ესტონეთში საქართველოს სსრ კულტურის დღეების საზეიმო გახსნის შემდეგ გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს ხალხური ოჯახის სახელმწიფო დამსახურებულ ანსამბლმა სსრ კავშირის სახალხო არტისტების ს. რამიშვილისა და ი. სუხიშვილის ხელმძღვანელობით.

კონცერტმა დიდი წარმატებით ჩაიარა.

საქდესის სპეც. კორ.

საბჭოთა მთავრობის განცხადება

საბჭოთა მთავრობის დავალებით სსრ კავშირის ელჩებმა ვაშინგტონში, პეკინში, პარიზსა და ლონდონში ამერიკის შეერთებული შტატების, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, საფრანგეთისა და ინგლისის მთავრობებს რამდენიმე დღის წინათ გადასცეს ატომურ სახელმწიფოთა კონფერენციის მოწვევის საკითხზე სსრ კავშირის მთავრობის შემდეგი განცხადების ტექსტი:

უკვე მეოთხედ საუკუნეზე მეტი ხანია კაცობრობას თავიდან აცილებული აქვს მსოფლიო ომი. ამასთან ერთად, მშვიდობა კვლავაც არ არის მყარი. მსოფლიოს ხან ერთ, ხან მეორე რაიონში წარმოიშობა საომარი კონფლიქტები და სამხედრო დაძაბულობის კერები, კვლავ არსებობს გლობალური მასშტაბის სამხედრო შეტაკების საფრთხე.

ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც განსაკუთრებით უარყოფითს ზემოქმედებას ახდენს მთელ საერთაშორისო ცხოვრებაზე, გამალებული შეიარაღებაა. იგი სულ უფრო მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის მშვიდობას, არაფერი რომ არა ვთქვათ იმაზე, რომ ნთქავს უდიდეს მატერიალურ და ინტელექტუალურ რესურსებს, რომელთა გამოყენება სხვა შემთხვევაში შეიძლებოდა ეკონომიური და სოციალური პროგრესის დასაჩქარებლად, ხალხთა საკეთილდღეოდ. ცხადია, რომ ყველაზე საშიშია გამალებული ატომური შეიარაღება. მასთან არის უწინარეს ყოვლისა დაკავშირებული ხალხთა შეშფოთება, მათი შიში მომავლისათვის.

სსრ კავშირის მთავრობას, რომელიც ამ განცხადებით მიმართავს ატომური იარაღის მფლობელ სახელმწიფოთა მთავრობებს, საჭიროდ არ მიაჩნია სპეციალურად აღნიშნოს ატომური იარაღის განსაკუთრებული დამანგრეველი ძალიერება, მისი გამოყენების დამღუპველი შედეგები, ის ტანჯვა და უბედურება, რომელსაც მსოფლიოს ყველა ხალხს მოუტანდა ატომური ომი, საქმე თუ იქამდე მივიდოდა. ამავე დროს საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია ყველა ატომური სახელმწიფოს მთავრობათა ყურადღება მიაქციოს იმ ფაქტს, რომ თუმცა გამალებული ატომური შეიარაღების შეზღუდვისათვის ბრძოლის შედეგად განხორციელდა ზოგიერთი დადებითი ღონისძიება, ჯერჯერობით უკან ვერ შებრუნდა ატომური სახელმწიფოების არსენალებში მათხრიერი მოსპობის სულ უფრო დამაგრეველ საშუალებათა დაგროვების პროცესი. მაშასადამე, საჭიროა კიდევ უფრო მტკიცე მეცადინეობა, რათა განხორციელდეს ქმედითი ღონისძიებანი ატომური განიარაღებისათვის.

სსრ კავშირის მთავრობას მიაჩნია, რომ ეს არის ყველა ატომური სახელმწიფოს მოვალეობა და პასუხისმგებლობა. სწორედ ამ სახელმწიფოებს შეუძლიათ შეიმუშაონ და განახორციელონ ატომური განიარაღების პრაქტიკული პროგრამა.

რა თქმა უნდა, ეს ამოცანა ვერ შესრულდება, თუ მის გადაწყვეტას შეეცდება მხოლოდ ერთი ან ზოგიერთი ატომური სახელმწიფო. საჭიროა ატომური იარაღის მფლობელი ყველა სახელმწიფოს ერთობლივი მოქმედება, რათა შეთანხმდნენ მისი წარმოების და მოსპობის შეჩერებისა და მოსპობის შესახებ.

ცნობილია, რომ ატომური სახელმწიფოები ჯერჯერობით ერთნაირად არ უდგებიან ატომური განიარაღების საკითხების გადაწყვეტას და მათი შეხედულებანი ამ საკითხებზე ბევრ რამეში განსხვავდება ერთმანეთისაგან. მაგრამ ეს არ უნდა იყოს დაბრკოლება იმისათვის, რომ ატომურმა სახელმწიფოებმა დაიწყონ ერთობლივი მუშაობა, რომლის მიზანი იქნება მათი თვალსაზრისის დაახლოება და ცდა საერთო ღონისძიებებით გაუკაფონ გზა ატომურ განიარაღებას, ამას მოითხოვს ხალხთა ინტერესები, ყველა სახელმწიფოს, მათ შორის თვით ატომური სახელმწიფოების ინტერესები, ვინაიდან მათი უშიშროებაც უფრო საიმედოდ იქნება გარანტირებული ატომური იარაღის ლიკვიდაციის გზით, ჭიდრე გამალებული ატომური შეიარაღების დარგში შემდგომი შეჯიბრების გზით.

ითვალისწინებს რა ყველა ამ მოსაზრებას, საბჭოთა მთავრობა აყენებს წინადადებას უახლოეს დროში მოვიწვიოთ ატომური იარაღის მფლობელი ხუთი სახელმწიფოს — საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის კონფერენცია. ასეთმა თათბირმა უნდა განიხილოს საერთოდ ატომური განიარაღების საკითხები. რაც შეეხება შეთანხმებას, რომელიც მოლაპარაკების შედეგად იქნებოდა, შეიძლება მან მოიცვას როგორც ატომური განიარაღების ღონისძიებათა მთელი კომპლექსი, ისე ცალკეული ღონისძიებანი, რომლებიც შეგვიწყობენ ხელს ამ მიზნის თანდათან მიღწევაში.

ცხადია, რომ პროგრესი ატომური განიარაღების საქმეში ხელს შეუწყობდა საყოველთაო და სრული განიარაღების პრობლემათა გადაჭრას, კეთილისმყოფელ გავლენას მოახდენდა მთელ საერთაშორისო ვითარებაზე, ხელს შეუწყობდა სახელმწიფოთა ურთიერთობაში ნდობის განმტკიცებას.

სსრ კავშირის მთავრობის წინადადებაა დიპლომატიური არხებით დავიწყოთ აზრთა ურთიერთგაზიარება კონფერენციის მოწვევის დროის, მოწყობის ადგილის, დღის წესრიგისა და მუშაობის წესის საკითხებზე. რაც შეეხება სსრ კავშირის მთავრობას, მას მიაჩნია, რომ რაც უფრო მალე გაიმართება ხუთი ატომური სახელმწიფოს კონფერენცია, მით უკეთესი. კონფერენციის მოწყობის ადგილის გამო სსრ კავშირის მთავრობის პოზიცია ასეთია: მისთვის მისაღებია ყოველი ადგილი, რომელიც მოსახერხებელი იქნება ყველა მონაწილისათვის თუ ასეთი იქნება საერთო აზრი, საბჭოთა მთავრობას არაფერი არა აქვს იმის საწინააღმდეგო, რომ შეიქმნას კონფერენციის მოწვევის მოსამზადებელი კომიტეტი.

სსრ კავშირის მთავრობა ინტერესით დაელოდება მოსაზრებებს, რომლებიც შეიძლება ჰქონდეს ყველა ამ საკითხზე თვითეულ ატომურ სახელმწიფოს. იგი გამოთქვამს იმედს, რომ ამ განცხადებას განიხილავენ მთელი უურადღებით, რომელსაც მოითხოვს ატომური განიარაღების პრობლემა, და რომ ატომურ სახელმწიფოთა ერთობლივი მეცადინეობა უზრუნველყოფს წინსვლას ამ პრობლემის გადაწყვეტაში.

სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიკოსთა შეხვედრა

დიდ სამამულო ომში იმპერიალიზმის ძალები სასტიკად დამარცხდნენ, სოციალისტურმა წყობილებამ ცხადყო თავისი უძლეველობა, შეიერთა სოციალისტური ბანაკი. ომის შედეგები და გაკვეთილები უნდა ახსოვდეთ იმით, ვინც ახლაც ცდილობს სხვადასხვა საერთაშორისო პრობლემების გადაჭრას იარაღით, თქვა იმ 62-ე არმიის ყოფილმა მეთაურმა, რომელმაც შტურმით აიღო ბერლინი, ამჟამად საბჭოთა კავშირის მარშალმა ვ. ი. ჩუიკოვმა. იგი გამოვიდა სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიკოსთა კომისიის სამეცნიერო კონფერენციაზე, რომელიც გაიხსნა მოსკოვში 21 ივნისს.

დიდი სამამულო ომის დაწყების 30 წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია განიხილავს პრობლემას „სსრ კავშირის საერთაშორისო ურთიერთობა და საგარეო პოლიტიკა დიდი სამამულო ომის წინ და ომის პერიოდში“. (საქდესი).

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის საკატიო წოდების მინიჭების შესახებ

სახალხო მეურნეობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის საპატიო წოდება:

აბრამიძეს ბაბული ეპიფანეს ასულს — ვანის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროს ეკონომისტს.

აბრამიშვილს ვლადიმერ ვლადიმერის-ძეს — საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს საკონტროლო-სარევიზიო სამმართველოს უფროს კონტროლიორ-რევიზორს.

აგამალოვს დავით მიხეილის-ძეს — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საფინანსო სამმართველოს უფროს მოადგილეს.

ადამიას ივლიანე ვიქტორის-ძეს — საქართველოს სსრ სახელმწიფო დაზღვევის მთავარი სამმართველოს განყოფილების უფროსს.

ავალიანს მარიამ დომენტის ასულს — თბილისის № 6 სამკერვალო ფაბრიკის დირექტორს.

ავალიშვილს თამარ მიხეილის ასულს — საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს „საქკომუნრემმშენის“ განყოფილების უფროსს.

ავსარქისოვს ალექსანდრე გრიგოლის-ძეს — საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს განყოფილების უფროსს.

არაზოვს სერგო მიხეილის-ძეს — პენსიონერს.

აკოპოვას მარიამ ბორისის ასულს — ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს საგეგმიეკონომიური განყოფილების უფროსის მოადგილეს.

არსენიძეს შალვა პავლეს-ძეს — საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს სახშემოსავლების სამმართველოს უფროს კონტროლიორ-რევიზორს.

ასათიანს ალექსანდრე გულასპის-ძეს — „საქმინჭიდწყლების“ სამმართველოს ბორჯომის ჩამომსხმელი ქარხანა № 1-ის დირექტორის მოადგილეს.

აღნიაშვილს ქეთევან პავლეს ასულს — ყვარლის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების მეიჯარეს უფროს ინსპექტორს.

ბაბალოვს ლეონ მოსეს-ძეს — თბილისის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს მრავალდარგოვან საწარმოთა გაერთიანების განყოფილების გამგეს.

ბარამიძეს ოთარ ილიას-ძეს — საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს განყოფილების უფროსს.

ბარაბაძეს ალექსანდრე სილიბისტროს-ძეს — ქუთაისის ლითონფონის ქარხნის შრომისა და ხელფასის განყოფილების უფროსს.

ბარბაქაძეს ვაჟა ვლადიმერის-ძეს — ბოლნისის რაიკომკავშირის გამგეობის თავმჯდომარეს.

ბატაშვილს სარა რუბენის ასულს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველოს ტრესტ „საქტარის“ საგეგმო სალაროს განყოფილების უფროსს.

ბაღდავაძეს შოთა ივანეს-ძეს — საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს საკონტროლო-სარევიზიო სამმართველოს უფროს ქონტროლიორ-რევიზორს.

ბახტაძეს ელენე ალექსანდრეს-ასულს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის მთავარ კონსულტანტს.

ბენდელიანს დავით მიქაელის-ძეს — თბილისის ტრიკოტაჟის № 2 ფაბრიკის დირექტორს.

ბერიაას ალექსანდრა ანტონის ასულს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ეკონომიკური სტატისტიკური სამმართველოს განყოფილების უფროსს.

ბერეჟიანს არისტოტელე იოსების-ძეს — სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის „საქკომბინეწესახპროექტის“ განყოფილების უფროსის მოადგილეს.

ბოკერიას ალექსანდრე დავითის-ძეს — ქუთაისის „მრეწველობის“ განყოფილების უფროსს.

ბუაჩიძეს იაკობ ნიკოლოზის-ძეს — თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების დაფინანსების სამმართველოს განყოფილების უფროსს.

ბუაძეს ივანე ნიკოლოზის-ძეს — საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო სამმართველოს უფროს ინსპექტორს.

ბურაკაძეს ივანე პორფილეს-ძეს — პენსიონერს.

ბურძგლა-კვანტრიშვილს შოშანა მარკოზის ასულს — საქართველოს ფსინათლოთა საზოგადოების თბილისის სასწავლო საწარმოო წამოწყების საგეგმო განყოფილების უფროსს.

ბუღაძეს დომენტი გიორგის-ძეს — „საქკონსიერგხილმოსტანის“ სახელმწიფო კომიტეტის უფროს რევიზორ-ბუღალტერს.

ბუჩუკურს ალექსანდრე თეოდორის-ძეს — „სამტრესტის“ განყოფილების უფროსის მოადგილეს.

ბუცხრიკიძეს მეფია ნიკოლოზის ასულს — საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს განყოფილების გამგის მოადგილეს.

გაბარაევს სოლიკო გრიგოლის-ძეს — სსრკ მშენებლის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის განყოფილების უფროსს.

გაბათაშვილს მერი ვასილის ასულს — საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურზრუნველყოფის დაფინანსების სამმართველოს განყოფილების უფროსს.

გაბუნიას გალაქტიონ პორფილეს-ძეს — პროფკავშირთა საქართველოს კურორტების მართვის რესპუბლიკური საბჭოს საგეგმო-საფინანსო განყოფილების გამგეს.

(გაგრძელება იქნება)

სარისხოვანი ჩაის ფოთლის შესყიდვა

1971 წლის 21 ივნისისათვის (ყველა კატეგორიის მეურნეობაში, ტონობით)

	მაის-ივნისის გეგმა	ფაქტიური	პროცენტი
აფხაზეთის ასსრ	22205	22710	102
გალის	11820	12199	103
ოჩამჩირის	7621	7599	99,7
გუდაუთის	1890	1948	103
გულრიფშის	660	726	110
სოხუმის	214	238	111
აჭარის ასსრ	18941	21238	112
ქობულეთის	13120	14442	110
ხელვაჩაურის	5505	6451	117
ქიდის	316	345	109
მახარაძის	21414	22741	106
ზუგდიდის	15484	16303	105
წალენჯიხის	7650	8150	106
გურჯაანის	5809	6148	106
ლანჩხუთის	5778	6464	112
ჩხოროწყუს	5228	5765	110
ჩიხატაურის	3662	3846	105
წყალტუბოს	2908	3512	121
ცხაკაიას	2652	3201	121
ფუთუჯიძის	2560	2810	110
ტყიბულის საქალაქო საბჭო	2550	2947	116
ხობის	2066	2303	111
სამტრედიის	714	788	110
აბაშის	316	391	124
თერჯოლის	255	431	169
ვანის	112	148	132
ფოთლის საქალაქო საბჭო	102	223	219
ზესტაფონის	—	24	—
სულ	120406	130143	108
მათ შორის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობების ტრესტი	24457	26987	110
მთლიანად რესპუბლიკაში 1970 წლის ამავე თარიღისათვის იყო	114750	136461	119

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ოპერატიული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო.

მეშვიდეების კონტაქტები

23 ივნისს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა შ. კიკნაძემ მიიღო ავსტრია-საბჭოთა კავშირის საზოგადოების ტროლლის სამხარეო ორგანიზაციის დელეგაცია.

დარბაზობაზე იყვნენ ტროლლის სამხარეო მთავრობის მეთაურის მოადგილე ფრიც პრიორი, ამავე მთავრობის სამხარეო მთავარმართველოს დირექტორის მოადგილე რიხარდ პოკორნი და ავსტრია-საბჭოთა კავშირის საზოგადოების ტროლლის სამხარეო

ასეთია ჩვენი სოფელი

სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებაში მიღწეული წარმატებებით ჩვენს რესპუბლიკაში კარგად არის ცნობილი მახარაძის რაიონის სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა.

მჭიდრო მეგობრობა აკავშირებთ მახარაძელ და უკრაინელ სოფლის მეურნეებს. ამაზე ნათლად მეტყველებს სოფელში შრომის მუზეუმის გამოფენა, სადაც შეგროვებულია 2000-ზე მეტი ექსპონატი, რომლებიც ნათლად მოგვითხრობენ მემინდვრეთა წარმატებებზე და მათს ეგობრობაზე უკრაინელ მშრომელებთან. მეგობრობის თემას მიუძღვნა მოქანდაკე ი. მეავანაძემ თავისი სკულპტურული ნაწარმოები „მეორე სამშობლო!".

საქდესის ფოტოკორესპონდენტი თევზაძე ესტუმრა სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობას და გადაიღო რამდენიმე ფოტოსურათი. მარცხნივ — კოლმეურნეობის ადმინისტრაციული შენობა. აქ მოთავსებულია შრომის მუზეუმი; მარჯვნივ — სოფელ შრომის მეგობრობის პარკში დადგმული ქანდაკება „მეორე სამშობლო".

(საქდესის ფოტოქრონიკა).

„კომუნისტის" ფოსტიდან

☐ ბათუმი. სამკერვალო გაერთიანების მუშებმა და მოსამსახურეებმა ეკსკურსია მოაწყეს ვანში, სადაც დათვალიერეს გ. ტაბიძის სახლ-მუზეუმი, ნახეს არქეოლოგიური გათხრების ადგილი. შემდეგ ეს ტურმრნენ ქუთაისს, სათაფლიას, წყალტუბოს.

გ. ჩხაიძე.

☐ საჩხერე. თანდათან კეთილმოწყობილი ხდება ჩვენი რაიონი. წერეთლის ქუჩაზე საექსკლოატაციოდ გადაეცა ახალი შენობა, სადაც მოთავსდა ქალაქის საბჭოსთან არსებული ბიბლიოთეკა. შეძენილია ახალი ინვენტარი, იზრდება წიგნის ფონდი, მკითხველთა რიცხვი.

საპატიო ჯილდო პიონერს

ვინ მოთვლის, რამდენ კეთილშობილურ საქმეს აკეთებენ ნორჩი წითელი კვალმაძიებლები, რომლებიც ასე ფართოდ მოქმედებენ ჩვენს ქვეყანაში. რამდენი გმირის საფლავს მიაკვლიეს და ამის შესახებ აცნობეს დაღუპულთა მშობლებს, რამდენი სახელოვანი მამულიშვილის საფლავს ამკობენ და უვლიან, უკვდავყოფენ სამშობლოსათვის დაღუპულთა სახელებს.

გასულ წელს მოსკოვში, ჩკინიგზელთა ბავშვების ცენტრალურ სახლში გაიმართა წითელ კვალმაძიებელთა II საკავშირო შეკრება, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა კუთხის რკინიგზელთა სკოლების წითელმა კვალმაძიებლებმა. ამ შეკრებაში საქართველოდან ხუთი პიონერი მონაწილეობდა. ესენი იყვნენ თბილისის, სამტრედიის, ხაშურის, ზესტაფონის პიონერები. შეკრებაზე თავისი რაზმის წითელ კვალმაძიებელთა მუშაობის შესახებ ილაპარაკა თბილისის I რკინიგზის სკოლის (დირექტორი ა. ციინაძე) მოსწავლემ მემედიკალისელმა ელენე ყიფიანმა. მან შეკრებილთა გააცნო, თუ როგორ აღმოაჩინეს მათმა კიეველმა მეგობრებმა ქართველი გმირის ვახტანგ ჩიქოვანის საფლავი და ამის შესახებ აცნობეს მის დედას. ახლა სკოლის პიონერული რაზმი სახელოვანი გმირის სახელს ატარებს.

ამ დღეებში ელენე ყიფიანმა სასიხარულო ცნობა მიიღო მოსკოვიდან. იგი როგორც საუკეთესო წითელი კვალმაძიებელი დაჯილდოებულია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მედლით „სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ნორჩი მონაწილე" და ფასიანი საჩუქრით.

(„კომუნისტის" კორ.).

„საქართველოს სოფლის მეურნეობა" № 6

გამოვიდა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოველთვიური სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალ „საქართველოს სოფლის მეურნეობის" მორიგი, მეექვსე ნომერი.

უკანასკნელი წუთების სინაღული

„დინამო" (თბილისი)—„დინამო" (მოსკოვი) 0:2 (0:0), თბილისი. 23 ივნისი. „ლოკომოტივის" სტადიონი. მსაჯი — ბ. ანძიულისი (ვილნიუსი).

„დინამო" (თბილისი) — ურუშაძე, ძოძუაშვილი, ებრალიძე, ხურცილავა, ჭელიძე, პეტრიაშვილი, კუტუბაძე, მაჩაიძე, ყიფიანი, ბ. ნოდია, ლ. ნოდია.

„დინამო" (მოსკოვი) — პილგუი, შტაპოვი, გრებნევი, ზიკოვი, დოლბინოსოვი, ეკიკოვი, ეშტრეკოვი (ლარინი), მასლოვი, კოზლოვი (პისკუნოვი), კოტლიაკინი, სიომინი.

ამ ვერ ჩამოთვლით ყველა იმ შესაძლებლობას, რომლებიც მასპინძლებს გააჩნდათ, კერძოდ პირველ ტაიმში. გაძლიერებული პრესინგის მიუხედავად თბილისელები ფლობდნენ მოედნის შუა გულს, მათ ვერც გადაცემებსა და კომბინაციებში ვუსაყვედურებდით, ვხედავდით კარგ ჩაწოდებებს, უტყუარ შესაძლებლობებს, ერთი სიტყვით ყველაფერი იყო გარდა გოლისა. რა მოხდა, ვინ სცოდავდა? რა თქმა უნდა, პირველ რიგში ფორვარდები, უფრო კონკრეტულად ძმები ნოდიები. რაც შეეხება მაჩაიძეს, შემდეგ კი ყიფიანს, მათ ვერაფერში დავემდურებით, გინა ერთ და ორ ფეხბურთელს შეუძლია ყველგან იყოს და ყველაფერი გააკეთოს?

მეორე ნახევარში მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა, განსაკუთრებით ბოლო წუთებში. სამწუხაროდ ორი გოლი 7 წუთში, მართლაც რომ დასანანია. დასანანია ისიც, რომ ეს თბილისს „დინამოს" მეოთხე დამარცხებაა და ყველა საკუთარ მოედანზე.

დუბლიორთა მატჩშიც წარმატება მოსკოველებს ხვდათ 1:0.

ვ. გაბელია.

მატჩები და შედეგები

23 ივნისი დიდი ფეხბურთის დღე იყო. გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები.

ამ ტურის ერთ-ერთ ცენტრალურ ასპარეზობას წარმოადგენდა მატჩი კიევში, სადაც თამაშობდნენ ადგილობრივი „დინამოსა" და არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდები. შეხვედრის შედეგია 4:1 კიეველთა სასარგებლოდ.

მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ დედაქალაქის „ტორპედოსა" და ლვოვის „კარპატის" ფეხბურთელთა კოლექტივები. ფრე—1:1.

ჩემპიონატის ერთ-ერთ ლიდერს — ერევნის „არარატს" მორიგი შეხვედრაც საკუთარ მოედანზე ჰქონდა. ამჯერად მისი მეტოქე იყო ვოროშილოვგრადის „ზარია". გაიმარჯვეს ერევნელებმა 2:1.

მოსკოვის „სპარტაკი" ტაშკენტს ეწვია და აქ პაექრობა ჰქონდა ადგილობრივ „პახტაკორთან". თამაში დამთავრდა ფრედ— 0:0.

გათამაშების აუტსაიდერი — დონის როსტოვის არმიის სასპორტო კლუბის გუნდი საკუთარ მოედანზე შეხვდა ლენინგრადის „ზენიტს" და გაიმარჯვა 1:0.

მაჩი ბაკოში დონეცკის „შახტიორისა" და ბაკოს „ნეფტჩის" გუნდებს შორის დამთავრდა ბაქოელთა გამარჯვებით 2:0.

ალმა-ათაში ერთმანეთს შეხვდნენ „კაირატი" და მინსკის „დინამო". მატჩის შედეგია ფრე — 3:3.

სოფიის ფიცარნაგზე

სოფიაში გრძელდება ევროპის ჩემპიონატი ძალოსნობაში. მსუბუქ წონაში წარმატებით გამოვიდა პოლონელი შტანგისტი ვ. ბაშანოვსკი, რომელმაც სამჭიდში 450 კილოგრამი შეაგროვა და ევროპის ჩემპიონი გახდა. ეს შედეგი ახალი მსოფლიო რეკორდია. აკვრაში ვ. ბაშანოვსკიმ ორჯერ გაუთანაბრა მსოფლიო რეკორდი — 172,5 და 173 კილოგრამი. მაგრამ საბოლოოდ ახალი მსოფლიო რეკორდი ამ მოძრაობაში — 173,5 კილოგრამი დაამყარა საბჭოთა შტანგისტმა ბ. კოროლმა, რომელიც ასპარეზობის ბოლოს გამოვიდა ფიცარნაგზე კონკურსგარეშე.

ვახტანგ ბეწუაელი

ქართველ მწერალთა რიგებს მოულოდნელად გამოაკლდა ნიჭიერი პოეტი და მთარგმნელი ვახტანგ პავლეს-ძე ბეწუაელი.

ვ. ბეწუაელის სიკვდილით ქართულმა მთარგმნელობითმა ლიტერატურამ მძიმე დანაკლისი განიცადა, ხოლო ჩვენ, ქართველმა მწერლებმა, დავკარგეთ შესანიშნავი მეგობარი, კეთილშობილი ადამიანი, უანგარო მამულიშვილი, რომელსაც გატაცებით უყვარდა მშობლიური ლიტერატურა და მის საკეთილდღეოდ ვინ იცის რამდენი კარგი საქმის გაკეთება შეეძლო კიდევ.

ვ. ბეწუაელი წავიდა ჩვენგან იმ დროს, როცა თავისი ნიჭის გაფურჩქვნის ხანაში იყო. მან ბევრი განუხორციელებელი ოცნება წარიტანა თან.

ვ. ბეწუაელი დაიბადა 1916 წლის 25 სექტემბერს თიანეთის რაიონის სოფ. მაგრანეთში, ელეხის ოჯახში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც დაამთავრა 1940 წელს. 1938 წელს შეიდა კომკავშირის რიგებში, ხოლო 1944 წლიდან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი იყო.

1940-1945 წლებში ვ. ბეწუაელი მუშაობდა გურჯაანისა და თიანეთის რაიონებში პედაგოგად და სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე განათლების განყოფილებაში (სასკოლო ინსპექტორად და განყოფილების გამგედ). 1945 წლიდან საცხოვრებლად გადმოვიდა თბილისში და აქტიურად ჩაება მწერლობითს საქმიანობაში.

მთარგმნელობითს მუშაობას ვ. ბეწუაელი ჯერ კიდევ სიჭაბუკეში შეუდგა. გერმანული ენის საფუძვლიანი მცოდნე და კარგი მოქართულე ბელს ჰკიდებს გოეთესა და შილერის ნაწარმოებების თარგმნას. მან პერიოდულ პრესაში დაბეჭდა და შემდეგ ცალკე წიგნებად გამოსცა გოეთეს ნაწარმოებთა თარგმანები „ბეიოც ფონ ბერლიხინგენი", „ფიგენეია თავრიდში", „ეგმონტი", „ტორკვატო ტასო", „მოქალაქე გენერალი", „პრომეთე", „უკანონო ასული" და „ელეანარი", გოეთეს „ლირიკა", შილერის „ტრაგედიები („მარიამ სტიუარტი", „ფიესკოს შეთქმულება", „ორლეანელი ქალწული", „დონ კარლოსი" და სხვ.). ლესინგის ტრაგედიები („ემილია გალოტი" და „ნათან ბრძენი"), ჰ. ჰაინეს „ლექსები", რ. თაგორის „მეხალე", რომელიც 85 სიმღერისაგან შედგება. ამასთან მან მაღალმხატვრულად თარგმნა გოეთეს, შილერის, რუკერტის და სხვა გამოჩენილი გერმანელი პოეტების ლექსები და ბალადები.

თანამედროვე გერმანელი მწერლების ნაწარმოებებიდან ვ. ბეწუაელმა თარგმნა და გამოაქვეყნა ჰაინრიხ მანის რომანი „მეფე ანრი IV სიჭაბუკე", ცალკე წიგნად გამოსცა „დემოკრატიული გერმანიის პოეტები". მან თარგმნა და გამოუქვეყნებელი დარჩა თ. მანის რომანი „ჯადოსნური მთა" და კნუტ ჰამსუნის ორტომეული.

ვ. ბეწუაელი იყო ბევრი კარგი გამოცემის რედაქტორი, ახალგაზრდობის უანგარო მეგობარი და ალმზრდელი, თავისი სამშობლოს პატრიოტი, მუდამ მზად იყო უპრეტენზიოდ, უმაურად კეთილებისა მშობელი ხალხის საკეთილდღეო საქმე.

1951 წლიდან ვ. ბეწუაელი წლების მანძილზე მუშაობდა გამომცემლობა „საბჭოტა საქმეში", ჯერ მეცნიერულ-პოპულარული ლიტერატურის განყოფილების გამგედ, შემდეგ კი მთავარ რედაქტორად.

1960 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ვ. ბეწუაელი მუშაობდა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოში" ჯერ მხატვრული ლიტერატურის, შემდეგ კი თარგმნითი მხატვრული ლიტერატურის რედაქციის გამგედ.

თავისი დაუღალავი შრომით ვ. ბეწუაელმა დიდი წვლილი შეიტანა მთარგმნელობითს ლიტერატურაში. იგი დაჯილდოებული იყო მედლებით და სიგელებით.

დღეს ჩვენს შორის აღარ არის შესანიშნავი ადამიანი, ჩვენი კეთილი მეგობარი ვახტანგ ბეწუაელი, მაგრამ ქართველი მწერლები, ჩვენი მკითხველები არასოდეს არ დავიწყებენ მას.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა; საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტი; გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო".

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტი



აცხადებს სტუდენტთა მიღებას 1971-72 სასწავლო წლისათვის

შემდეგ ფაკულტეტებსა და სპეციალობებზე

დღის სწავლების განყოფილება

I. მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი — მათემატიკა (სპეციალიზაციები: ფუნქციათა თეორია, დიფერენციალური განტოლებები, ალგებრა, გეომეტრია, ტოპოლოგია, ალბათობათა თეორია, გამოთვლითი მათემატიკა, მათემატიკური ფიზიკა, დრეკადობის თეორია, ჰიდროდინამიკა, ასტრონომია);

II. კიბერნეტიკისა და გამოყენებითი მათემატიკის ფაკულტეტი — ა. კიბერნეტიკა (სპეციალიზაციები: თეორიული კიბერნეტიკა, ექსპერიმენტული კიბერნეტიკა, ბიოკიბერნეტიკა); ბ. გამოყენებითი მათემატიკა (სპეციალიზაციები: ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების მათემატიკური უზრუნველყოფა, გამოთვლითი ტექნიკის საშუალებათა გამოყენება); გ. სტრუქტურული და გამოყენებითი ლინგვისტიკა (სპეციალიზაციები: სტრუქტურული ლინგვისტიკა, გამოყენებითი ლინგვისტიკა);

III. ფიზიკის ფაკულტეტი — ა. ფიზიკა (სპეციალიზაციები: თეორიული ფიზიკა, ექსპერიმენტული ფიზიკა, ბერთვული ფიზიკა, გამოყენებითი ბირთვული ფიზიკა, მყარი სხეულების ფიზიკა (ნახევარგამტარების ფიზიკა), გეოფიზიკა, ბიოფიზიკა); ბ. რადიოფიზიკა და ელექტრონიკა (სპეციალიზაციები: კვანტური რადიოფიზიკა, რადიომზომლობა);

IV. ქიმიის ფაკულტეტი — ქიმია (სპეციალიზაციები: არაორგანული ქიმია, ანალიზური ქიმია, ორგანული ქიმია, ფიზიკური ქიმია, მაღალმოლეკულური ნაერთთა ქიმია, ფიზიკურ-ქიმიური ანალიზი);

V. გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი — ა. გეოგრაფია (სპეციალიზაციები: სუზოვარგარეთის ქვეყნების ეკონომიური გეოგრაფია უცხო ენების სწავლებით, გეომორფოლოგია, ფიზიკური გეოგრაფია, კარტოგრაფია, ნიადაგების გეოგრაფია); ბ. მეტეოროლოგია და კლიმატოლოგია (სპეციალიზაციები: ოკეანოლოგია, ხმელეთის ჰიდროლოგია); გ. გეოლოგიური აგებგმა და სასარგებლო ნამარხთა ძებნა-ძიება; დ. სასარგებლო ნამარხთა ძებნა-ძიების გეოფიზიკური მეთოდები;

VI. ბიოლოგიის ფაკულტეტი — ბიოლოგია (სპეციალიზაციები: ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგია, მცენარეთა ფიზიოლოგია, ბოტანიკა, ზოოლოგია, ბიოქიმია, ბიოფიზიკა, გენეტიკა, ციტოლოგია, მიკრობიოლოგია);

VII. ისტორიის ფაკულტეტი — ა. ისტორია; ბ. ხელოვნების ისტორია და თეორია;

VIII. ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტი— ა. ფილოსოფია; ბ. ფსიქოლოგია;

IX. ფილოლოგიის ფაკულტეტი — ა. ქართული ენა და ლიტერატურა; ბ. კავკასიური ენები; გ. ეგვიპტოლოგია;

X. დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი — ა. ინგლისური ენა და ლიტერატურა; ბ. გერმანული ენა და ლიტერატურა; გ. ფრანგული ენა და ლიტერატურა;

XI. აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი — აღმოსავლური ენები და ლიტერატურა;

XII. ეკონომიური ფაკულტეტი — ა. ფინანსები და კრედიტი; ბ. სტატისტიკა; გ. საბუღალტრო აღრიცხვა; დ. პოლიტიკური ეკონომია;

XIII. საინჟინრო-ეკონომიური ფაკულტეტი — ა. მანქანათმშენებლობის მრეწველობის ეკონომიკა და ორგანიზაცია; ბ. მშენებლობის ეკონომიკა და ორგანიზაცია; გ. რკინიგზის ტრანსპორტის ეკონომიკა და ორგანიზაცია; დ. ეკონომიური ინფორმაციის მექანიზებული დამუშავების ორგანიზაცია; ე. ეკონომიური კიბერნეტიკა;

XIV. დარგობრივი ეკონომიკის ფაკულტეტი — ა. მრეწველობის დაგეგმვა; ბ. მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ეკონომიკა და დაგეგმვა; გ. შრომის ეკონომიკა; დ. სოფლის მეურნეობის დაგეგმვა; ე. ვაჭრობის ეკონომიკა; ვ. საქონელმცოდნეობა და სამრეწველო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაცია;

XV. იურიდიული ფაკულტეტი — სამართლისმცოდნეობა;

შენიშვნები:

ა). ფილოსოფიის, ჟურნალისტიკის, პოლიტიკური ეკონომიისა და სამართლისმცოდნეობის სპეციალობების დღის სწავლების განყოფილებაზე შემსვლელებს, როგორც წესი, მოეთხოვებათ პრაქტიკული მუშაობის ორი წლის სტაჟი. გარდა ამისა ჟურნალისტიკის სპეციალობაზე ჩარიცხვისას (სხვა თანაბარ პირობებში) უპირატესობა მიეცემა იმას, ვისაც ლიტერატურული მუშაობის გამოცდილება აქვს.

ბ). რუსულ სექტორზე მიიღება იწარმოებს შემდეგ სპეციალობებზე: ა. კიბერნეტიკა, ბ. ფიზიკა, გ. რადიოფიზიკა და ელექრონიკა, დ. რუსული ენა და ლიტერატურა, ე. კავკასიური ენები, ვ. საბუღალტრო აღრიცხვა.

საღამოს სწავლების განყოფილება

I. მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი — მათემატიკა;

II. ფიზიკის ფაკულტეტი — ფიზიკა (სპეციალიზაციები: ბირთვული ფიზიკა, მყარი სხეულების ფიზიკა, რადიოფიზიკა);

III. ქიმიის ფაკულტეტი — ქიმია;

IV. გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი — გეოგრაფია (სპეციალიზაციები: ეკონომიური გეოგრაფია, ფიზიკური გეოგრაფია, კარტოგრაფია);

V. ბიოლოგიის ფაკულტეტი— ბიოლოგია;

VI. ისტორიის ფაკულტეტი — ისტორია;

VII. ფილოლოგიის ფაკულტეტი — ა. ქართული ენა და ლიტერატურა; ბ. ჟურნალისტიკა;

VIII. დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი — ა. ინგლისური ენა და ლიტერატურა; ბ. გერმანული ენა და ლიტერატურა; გ. ფრანგული ენა და ლიტერატურა;

IX. ეკონომიური ფაკულტეტი — ა. ფინანსები და კრედიტი; ბ. სტატისტიკა; გ. საბუღალტრო აღრიცხვა;

X. საინჟინრო-ეკონომიური ფაკულტეტი — ა. მანქანათმშენებლობის მრეწველობის ეკონომიკა და ორგანიზაცია; ბ. მშენებლობის ეკონომიკა და ორგანიზაცია; გ. რკინიგზის ტრანსპორტის ეკონომიკა და ორგანიზაცია;

XI. დარგობრივი ეკონომიკის ფაკულტეტი — ა. მრეწველობის დაგეგმვა; ბ. მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ეკონომიკა და დაგეგმვა; გ. შრომის ეკონომიკა; დ. სოფლის მეურნეობის დაგეგმვა; ე. ვაჭრობის ეკონომიკა; ვ. საქონელმცოდნეობა და სამრეწველო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაცია;

XII. იურიდიული ფაკულტეტი — სამართლისმცოდნეობა;

შენიშვნა:

რუსულ სექტორზე მიღება იწარმოებს შემდეგ სპეციალობებზე: ა. ფიზიკა, ბ. რუსული ენა და ლიტერატურა, გ. ვაჭრობის ეკონომიკა.

დაუსწრებელი სწავლების განყოფილება

I. ისტორიის ფაკულტეტი — ისტორია;

II. ეკონომიური ფაკულტეტი — საბუღალტრო აღრიცხვა;

III. დარგობრივი ეკონომიკის ფაკულტეტი — ა. მრეწველობის დაგეგმვა; ბ. ვაჭრობის ეკონომიკა;

IV. იურიდიული ფაკულტეტი — სამართლისმცოდნეობა;

შენიშვნა:

რუსულ სექტორზე მიღება იწარმოებს ფინანსებისა და კრედიტის სპეციალობით.

შემსვლელნი არჩეული სპეციალობის შესაბამისად მისაღებ გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში:

1. მათემატიკის, გამოყენებითი მათემატიკის, კიბერნეტიკის, ეკონომიური ინფორმაციის მექანიზებული დამუშავების ორგანიზაციის, ეკონომიური კიბერნეტიკის სპეციალობებზე — მათემატიკა (წერა და ზეპირი)*, ფიზიკა (ზეპირი)*, ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

2. ფიზიკის, რადიოფიზიკისა და ელექტრონიკის, გეოლოგიური აგებგმისა და სასარგებლო ნამარხთა ძებნა-ძიების, სასარგებლო ნამარხთა ძებნა-ძიების გეოფიზიკური მეთოდების, მეტეოროლოგიისა და კლიმატოლოგიის, მანქანათმშენებლობის მრეწველობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის, მშენებლობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის, რკინიგზის ტრანსპორტის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სპეციალობებზე — ფიზიკა (ზეპირი)*, მათემატიკა (წერა და ზეპირი)*, ქართული ენა და ლიტერატურა (წერა);

3. ქიმიის სპეციალობაზე — ქიმია (წერა)*, ფიზიკა (ზეპირი)*, მათემატიკა (წერა)*, ქართული ენა და ლიტერატურა (წერა);

4. ბიოლოგიის სპეციალობაზე — მათემატიკა (წერა)*, ქიმია (ზეპირი)*. ბიოლოგია (ზეპირი)*, ქართული ენა და ლიტერატურა (წერა);

5. სტრუქტურული და გამოყენებითი ლინგვისტიკის სპეციალობაზე — ქართული ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი)*, მათემატიკა (წერა)*, უცხო ენა (ზეპირი)*;

6. ისტორიის, ფილოსოფიისა და სამართლისმცოდნეობის სპეციალობებზე — სსრკ ისტორია (წერა)*, ქართული ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი)*, უცხო ენა (ზეპირი);

7. ხელოვნების თეორიისა და ისტორიის სპეციალობაზე—სსრკ ისტორია (წერა)*, ქართული ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი)*, უცხო ენა (ზეპირი), ხელოვნების თეორია და ისტორია (ზეპირი, სპეციალური პროგრამით);

8. ფსიქოლოგიის სპეციალობაზე — ქართული ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი)*, სსრკ ისტორია (წერა)*, ბიოლოგია (ზეპირი)*;

9. ქართული ენისა და ლიტერატურის, კავკასიური ენების, ჟურნალისტიკის, აღმოსავლური ენებისა და ლიტერატურის სპეციალობებზე — ქართული ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი)*, სსრკ ისტორია, უცხო ენა (ზეპირი)*;

10. ინგლისური ენისა და ლიტერატურის, გერმანული ენისა და ლიტერატურის, ფრანგული ენისა და ლიტერატურის სპეციალობებზე — უცხო ენა (ზეპირი)*, ქართული ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი)*, სსრკ ისტორია (წერა)*;

11. გეოგრაფიის სპეციალობაზე — გეოგრაფია (ზეპირი)*, მათემატიკა (წერა)*. სსრკ ისტორია (წერა)*, ქართული ენა და ლიტერატურა (წერა);

12. მრეწველობის დაგეგმვის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ეკონომიკისა და დაგეგმვის, შრომის ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის დაგეგმვის, ვაჭრობის ეკონომიკის, ფინანსებისა და კრედიტის, სტატისტიკის, საბუღალტრო აღრიცხვის, პოლიტიკური ეკონომიის სპეციალობებზე—მათემატიკა (წერა)*, გეოგრაფია (ზეპირი)*, სსრკ ისტორია (წერა)*, ქართული ენა და ლიტერატურა (წერა);

13. საქონელმცოდნეობა და სამრეწველო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაციის, საქონელმცოდნეობა და სასურსათო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაციის სპეციალობებზე — მათემატიკა (წერა)*, ქიმია (ზეპირი)*, გეოგრაფია (ზეპირი)*, ქართული ენა და ლიტერატურა (წერა);

რეტორი ან მისი დავალებით პრორექტორები, ფაკულტეტის დეკანები, მიმღები კომისიის წევრები გაესაუბრებიან დღისა და საღამოს სწავლებაზე შემსვლელ თვითეულ აბიტურიენტს. გასაუბრების დროს შემოწმდება, რამდენად შეესაბამება აბიტურიენტის საერთო მომზადება მის მიერ არჩეულ სპეციალობას, როგორ ფლობს იგი რუსულ ენას და ა. შ.

ვინც დღის სწავლების განყოფილებაზე ვერ გავა კონკურსში, მას შეუძლია მონაწილეობა მიიღოს კონკურსში საღამოს ან დაუსწრებელი სწავლების განყოფილებაზე მისაღები გამოცდების ხელმეორედ ჩაბარებლად, თუ აკმაყოფილებს ამ განყოფილებებზე შემსვლელთათვის მოთხოვნილ ყველა პირობას და წარმოადგენს საჭირო საბუთებს გამოცდების დაწყებამდე. გამოცდების დაწყების შემდეგ არავითარი საბუთი არ მიიღება და, მაშასადამე, განცხადებაც არ იქნება განხილული.

შენიშვნები:

ა) ვარსკვლავიან ყველგან აღნიშნულია მაპროფილებელი საგნები;

ბ) ვინც საშუალო სკოლა დამთავარა ოქროს (ვერცხლის) მედლით, ან საშუალო სპეციალური სასწავლებელი — წარჩინების დიპლომით, მათთვის მაპროფილებელი იქნება პირველად დასახელებული საგანი;

გ) მედალოსნები და წარჩინების დიპლომის მქონე აბიტურიენტები, რომლებიც შედიან ქიმიისა და გეოგრაფიის სპეციალობებზე, საგალდებულო გასაუბრებას გაივლიან მათემატიკაში;

დ) ბიოლოგიის სპეციალობაზე შემსვლელი ყველა აბიტურიენტი საგალდებულო გასაუბრებას გაივლის ფიზიკაში;

ე) ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სპეციალობებზე შემსვლელნი წინასწარ გასაუბრებას გაივლიან მათემატიკაში, ხოლო გეოგრაფიის სპეციალობის საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიური გეოგრაფიის უცხო ენებით სწავლების სპეციალიზაციაზე შემსვლელნი — უცხო ენაში;

ვ) პროგრამა ხელოვნების თეორიასა და ისტორიაში აბიტურიენტს შეუძლია მიიღოს მიმღები კომისიის სამდივნოში ან გამოითხოვოს ფოსტით.

უნივერსიტეტში შემსვლელს განცხადება შეიქმნა რექტორის სახელზე ფაკულტეტისა და სპეციალობის ზუსტი აღნიშვნით.

განცხადებას თან ერთვის შემდეგი საბუთები:

1. დოკუმენტი საშუალო განათლების შესახებ (დედანი); საშუალო სპეციალური სასწავლებლების კურსდამთავრებულნი დიპლომთან ერთად წარმოადგენენ დანართს ჩაბარებული საგნების შესახებ.

2. დახასიათება უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან, ხელმოწერილი საწარმო-დაწესებულების ხელმძღვანელის, პარტიული ბიუროს ან კომკავშირის ბიუროს მდივნისა და ადგილკომის თავმჯდომარის მიერ. **კოლმეურნეთა** დახასიათებას ხელს აწერენ კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები; **ზოგადსაგანმანათლებელო** სკოლის კურსდამთავრებულნი წარმოადგენენ დახასიათებას, გაცემულს სკოლის პედსაბჭოსა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ. **საბჭოთა არმიიდან** და **სამხედრო-საზღვაო ფლოტიდან** დემობილიზებულნი წარმოადგენენ სათანადო სამხედრო ნაწილის მიერ გაცემულ დახასიათებას.

3. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, დამოწმებული საწარმო-დაწესებულების ხელმძღვანელთა მიერ, ხოლო კოლმეურნეთათვის — ამონაწერი საკოლმეურნეო წიგნაკიდან, დამოწმებული კოლმეურნეობის გამგეობის მიერ. ამონაწერში აღნიშნული უნდა იყოს გამომუშავება და ამ კოლმეურნეობისათვის დადგენილი შრომადღეების მინიმუმი ცალკეული კალენდარული წლისათვის.

შენიშვნები:

ა) აღნიშნულ ამონაწერს წარმოადგენს მხოლოდ ის აბიტურიენტი, რომელსაც აქვს მუშაობის ორი წლის სტაჟი, ან მუშაობს პროფილის მიხედვით.

ბ) აბიტურიენტის მიერ წარმოდგენილ საბუთს პროფილით მუშაობის შესახებ განიხილავს მიმღები კომისია. ვიდრე გამოცდები დაიწყებოდეს, აბიტურიენტს ეცნობება, ჩაითვლება თუ არა მისი სამუშაო პროფილად. ამის გამო პროფილით მომუშავე ყველა აბიტურიენტი ვალდებულია სათანადო საბუთები წარმოადგინოს მიმღებ კომისიაში არაუგვიანეს 25 ივლისისა. თუ საბუთები აღნიშნული დროისათვის არ იქნა წარმოდგენილი, აბიტურიენტის პრეტენზიები მხედველობაში არ მიიღება.

4. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286);

5. ოთხი ფოტოსურათი (გადაღებული უქუღოდ, ზომით 3X4 სმ. დამოწმებული);

პასპორტსა და სამხედრო ბილეთს (ან მიწერის მოწმობას) შემსვლელნი წარმოადგენენ პირადად.

განცხადებები მიიღება 31 ივლისამდე (ჩათვლით) ყოველდღე, გარდა კვირადღისა, 10-დან 15 საათამდე.

მისაღები გამოცდები დღის, საღამოსა და დაუსწრებელ განყოფილებებზე ჩატარდება **1 აგვისტოდან;**

კონსულტაციები საგამოცდო საგნებში მოეწყობა 1-დან 31 ივლისამდე;

საბუთები მიიღება უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსში. **მისამართი:** ქ. **თბილისი. საბურთალო, უნივერსიტეტის ქ. № 2,** ავტობუსი № 20 და № 49, ბოლო გაჩერება. ტელეფონი: 31-40-62.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ტელევიზია

24 ივნისი

პირველი პროგრამით

18.05 — ახალი ამბები, 18.15 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „ვამარჯობათ, ბავშვებო", 19.40 — „ციკლიდან, „ხუთწლედი მოქმედებაში". „რეზებელოობა — მთავარი საზრუნავი", 20.00 — „ხალხური შემოქმედების ოსტატები" — ქორეოგრაფი მიხეილ შუბაშიკელი, 23.30 — საქართველოს ფირადი ტელევიზია — „პალიტრა", 21.00 — ჟურნალი — 2×2=X", 21.35 — კინონარკვევი, 22.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 22.30 — მხატვრული ფილმი — „პატარა საზოგადოების რომანი".

მეორე პროგრამით

20.00 — სკოლების დასახმარებლად — (დაწყებითი კლასები) ჰიდროგეოლოგიის საკვლევი ინსტიტუტის ექსპერიმენტული ლაბორატორიის მუშაობის შედეგები და სიახლენი ქართული ენის პროგრამებში, 21.00 — მხატვრული ფილმი „ფგლის ჯუნტული".

25 ივნისი

პირველი პროგრამით

18.05 — ახალი ამბები, 18.10 — პროგრამა ბავშვებისათვის „ციროდინა ეკრანი", 19.20 — ჟურნალი „ჩვენი ეზო", 18.40 — თვითმოქმედი მხატვრული კოლექტივების